# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 თებერვალი 2005 №35 (2358) ფასი 50 თეთრი



**უეფა ათენში ჯერ არ ჩასულა**

ისევ პანიონიოსის და დინამოს შესახებ

2



**იაფად და ძვირად**

კრისტიანო რონალდო ჩელსისკენ იცქირება

**სეზონი ჩასრიალდა**

ნჰლ საბოლოოდ დადუმდა

15

# მეთექვსმეტეს დაბრუნება

## რაც არის, ეს არის: ჩვენ მივდივართ. თქვენ?



კიდევ ერთი არდადეგები დასრულდა და კიდევ ერთხელ განახლდება საქართველოს სტადიონებზე ბურთის თამაში. განახლებას კი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში თავისებური ხიბლი აქვს. ალბათ, საქართველოს მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპიც ხიბლიანი იქნება, დაძაბული და საინტერესო, ხანდახან მომნუსხველი და შიგადაშიგ იქნებ უფერულიც, მაგრამ მაინც მძაფრი და ინტრიგიანი.

# რა გვეთამაშება?!

## რეფორმამ უნივერსიტეტს კალათბურთი წაართვა



დღეს საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი უნდა დაინიშნოს. ხვალ-ზეგ ეროვნულსაც, ალბათ, რომელიმე შემძლე უცხოელს ჩააბარებენ, მაგრამ ამ სასიამოვნო სანაკრებო სიახლეთა ფონზე ფედერაციას შიდა ჩემპიონატი ენგრევა თავზე. კარგა ხანს ლაპარაკობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შესაძლო დაშლაზე, დიდხანს ითმენდნენ სტუდენტები, მაგრამ ყველაფერს ჰქონია საზღვარი... გუშინ თსუ-ს გუნდი ვერის ბაღში მივიდა, მაგრამ მოედანზე არ გასულა — არც ხელფასს გვიხდიან, არც ფორმას გვაძლევენ და პერსპექტივასაც რომ ვერ ვხედავთ, რა გვეთამაშებაო. ყველაფერი კი იმის გამოა, რომ ახალი წეს-კანონებით სახელმწიფო სასწავლებლებს თავიანთი ბიუჯეტიდან პროფესიული კლუბების დაფინანსება ეკრძალებათ. შესაბამისად, გუნდის არსებობისთვის საჭიროა სპონსორი, მაგრამ მისი პოვნის შემთხვევაში, როგორც თავად უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელებიც ამბობენ, სასწავლებელთან თანამშრომლობა სრულიად ზედმეტი ხდება...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# უეფა ათენში ჯერ არ ჩასულა

**გერმანელი** მსაჯის რობერტ ჰოიზერის თაღლითობაში მხილებას დიდი ამბები მოჰყვა და, სამწუხაროდ, ბევრთაგან ერთი ქართულ ფეხბურთსაც უკავშირდება: ჰოიზერმა თქვა, თამაშების ჩაწყობა გერმანიის გარდა ავსტრიასა და საბერძნეთშიც ხდებაო. სწორედ ამის თაობაზე მოგახსენებთ.

ჰოიზერის განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, საქმეს უეფა ჩაეძია და „პანიონიოს" — „დინამოს" გახმაურებულ მატჩს ჩაუკირკიტა.

სააგენტო „როიტერის" გუშინდელი ცნობაც გავიხსენოთ — უეფამ განაცხადა, ათენში ამ საქმის საკვლევად ჩვენი წარმომადგენელი იმუშავებსო.

— უეფადან ათენში ჯერ არავინ ჩამოსულა, ყოველ შემთხვევაში, „პანიონიოს" — „დინამოს" მატჩის დეტალების გამოსაძიებლად. ჩვენც ის ვიცით, რაც, ალბათ, თქვენც, გერმანელმა მსაჯმა რაღაც განცხადება გააკეთა და ახლა ყველა ფიქრობს, რომ „პანიონიოს" — „დინამოს" მატჩის შედეგი გარიგებული იყო. რა გითხრათ, არ ვიცი, ჩვენც უეფას კაცის ჩამოსვლას ველით. ის კი ჯერჯერობით არ ჩანს" — გვითხრა გუშინ ჩვენმა კოლეგამ მანუშ ტარამოპულოსმა.

მისივე თქმით, ამ მატჩის გამო საბერძნეთის პროკურატურამაც აღძრა საქმე, მაგრამ დღესდღეობით მათგან არაფერი ისმის, პირიქით, პროკურორი ამბობს, მატჩის შედეგთან დაკავშირებული მაქინაციების ვერანაირ კვალს კლუბში ვერ მივაგენითო.

**ძოგა ინასარიძე**

# რანგი და ნულები თანაბრად

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა „ამერმა" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ქართველ პირველლიგელთა მეტოქე პოლონეთის პირველლიგელი „იეგელონია" იყო, რომელიც პირველი წრის მერე ცხრილში მე-8 ადგილზეა. მატჩი უგოლოდ, 0:0 დასრულდა.

წინა მატჩისგან განსხვავებით, როცა „ამერმა" ყაზახურ „ქეტისუს" 2:0 მოუგო, გიორგი ჩიხრაძის გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილება იყო, ყაზახებთან დაშავებული დავით სევასტოპულოს ნაცვლად რატი წინამძღვრიშვილმა ითამაშა.

პირველ ტაიმში პოლონელებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, ბურთს მეტხანს აკონტროლებდნენ, თუმც ორიოდე არაზუსტი დარტყმის გარდა ვერაფერი გააკეთეს.

შესვენების მერე კი უპირატესობა „ამერისა" იყო. სულიკო დავითაშვილს, ალექსანდრე კაიდარაშვილს და გიორგი დეკანოსიძეს ხელსაყრელი მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ გატანა ვერ შეძლეს.

ბოლოსკენ „ამერს" ერთი უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა — 86-ე წუთზე ამირან კედელაშვილს მეტოქემ კოჭში გაშლილი ფეხი ისე ჩაარტყა, რომ ჩვენიანმა თამაშის დასრულება ვეღარ შეძლო.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნადირაშვილი, კედელაშვილი (ბუალავა 86), დავითნიძე, ხვადაგიანი, ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, გარუჩავა (კაიდარაშვილი 46), გ. ჩხეტიანი, გ. ჯელაძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი.*

ორი დღით ადრე მეორე მატჩი ჩაატარა „ამერის" სარეზერვო შემადგენლობამაც და 2:4 წააგო. ამერელთა მეტოქე გერმანიის დაბალლიგელი „კოტერნი" იყო. ქართველთაგან ორივე გოლი რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანა.

*„ამერი B": ნაჭყებია, გვაძაბია, ბერიანიძე, ა. აბაშიძე (ნიკოლაიშვილი 54), ელბაქიძე, კაიდარაშვილი, ბუალავა, მჭედლიშვილი, სილაგაძე, ნადირაძე, წინამძღვრიშვილი.*

**გიორგი დარჯანია**
**ბელეკიდან**

# კალენდარი

## მესამე წრე

### მეცხრამეტე ტური
18 თებერვალი, პარასკევი
ტორპედო – ლოკომოტივი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბათუმი
ზესტაფონი – თბილისი
დინამო – სიონი

### მეოცე ტური
25 თებერვალი, პარასკევი
თბილისი – კოლხეთი
ლოკომოტივი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – დინამო

### ოცდამეერთე ტური
1 მარტი, სამშაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
ბათუმი – სიონი
დინამო – თბილისი
დილა – ვიტ ჯორჯია

### ოცდამეორე ტური
5 მარტი, შაბათი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კოლხეთი
ტორპედო – დინამო
თბილისი – დილა

### ოცდამესამე ტური
12 მარტი, შაბათი
კოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ტორპედო
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია

### ოცდამეოთხე ტური
16 მარტი, ოთხშაბათი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბათუმი
ზესტაფონი – დილა
კოლხეთი – დინამო
თბილისი – სიონი

### ოცდამეხუთე ტური
20 მარტი, კვირა
დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
დინამო – ლოკომოტივი

### ოცდამეექვსე ტური
2 აპრილი, შაბათი
ლოკომოტივი – თბილისი
კოლხეთი – ბათუმი
ზესტაფონი – სიონი
დინამო – დილა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

### ოცდამეშვიდე ტური
10 აპრილი, კვირა
სიონი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
ბათუმი – დინამო
თბილისი – ტორპედო

**თასის ნახევარფინალის დღეებია:**
**6 აპრილი და 4 მაისი;**
**ფინალი: 26 მაისი**

## მეოთხე წრე

### ოცდამერვე ტური
17 აპრილი, კვირა
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
ბათუმი – დილა
თბილისი – ზესტაფონი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ტორპედო

### ოცდამეცხრე ტური
21 აპრილი, ხუთშაბათი
კოლხეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
დინამო – ვიტ ჯორჯია

### ოცდამეათე ტური
26 აპრილი, სამშაბათი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ტორპედო – კოლხეთი
სიონი – ბათუმი
თბილისი – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა

### ოცდამეთერთმეტე ტური
30 აპრილი, შაბათი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ზესტაფონი

### ოცდამეთორმეტე ტური
8 მაისი, კვირა
ლოკომოტივი – კოლხეთი
ტორპედო – დილა
ზესტაფონი – დინამო
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – სიონი

### ოცდამეცამეტე ტური
14 მაისი, კვირა
სიონი – თბილისი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ზესტაფონი
დინამო – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

### ოცდამეთოთხმეტე ტური
18 მაისი, ოთხშაბათი
კოლხეთი – დილა
ზესტაფონი – ბათუმი
ტორპედო – სიონი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო

### ოცდამეთხუთმეტე ტური
22 მაისი, კვირა
თბილისი – ლოკომოტივი
ბათუმი – კოლხეთი
სიონი – ზესტაფონი
დილა – დინამო
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

### ოცდამეთექვსმეტე ტური
30 მაისი, ოთხბაშათი
ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

**სარეზერვო დღეებია:**
**14, 21 თებერვალი, 8 მარტი,**
**13 აპრილი, 11 მაისი**

# საქართველო ლიტვამ აწია

**ფიფა-„კოკა კოლას"** სათებერვლო რეიტინგში საქართველომ ოთხი საფეხურით აინაცვლა და ახლა 102-ე ადგილზეა. ალენ ჟირესის გუნდს ლიტვასთან 1:0 მოგება ასეულში შესასვლელად არ ეყო, თუმც იქამდე ბევრიც არ აშორებს.

ჩვენს მეტოქეთაგან ყველაზე მაღლა, ბუნებრივია, უკრაინა ახტა — ალბანეთთან მოგებით 9 საფეხურით წაიწია და ახლა 49-ეზეა. ხუთი ადგილით აინაცვლა საბერძნეთმა, რომელმაც ერთი კვირის წინ დანიას შინ 2:1 აჯობა.

საუკეთესო ათეული არ შეცვლილა, ლიდერი კი კვლავ ბრაზილიაა 840 ქულით.

**ძახა შალამბერიძე**

## FIFA Coca-Cola World Ranking

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 840 | 15 | 14 | *დანია* | 709 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 789 | | 14 | *თურქეთი* | 709 |
| 3 | 3 | არგენტინა | 783 | 17 | 16 | გერმანია | 708 |
| 4 | 4 | ჩეხეთი | 776 | 18 | 19 | იაპონია | 705 |
| 5 | 5 | ესპანეთი | 764 | | 17 | ურუგვაი | 705 |
| 6 | 7 | მექსიკა | 755 | 20 | 20 | ირანი | 693 |
| | 6 | ჰოლანდია | 755 | | | | |
| 8 | 8 | ინგლისი | 749 | 49 | 57 | *უკრაინა* | 595 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 745 | | | | |
| 10 | 10 | იტალია | 738 | 87 | 86 | *ალბანეთი* | 513 |
| 11 | 11 | აშშ | 731 | | | | |
| 12 | 12 | ირლანდია | 715 | 102 | 106 | საქართველო | 464 |
| 13 | 18 | *საბერძნეთი* | 714 | | | | |
| | 13 | შვედეთი | 714 | 149 | 149 | *ყაზახეთი* | 312 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# უეფას თასი

**1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ**

დინამო (უკრაინა) 0:0 ვილიარეალი (ესპანეთი)
გრაცერი (ავსტრია) 2:2 მიდლსბრო (ინგლისი)
ცსკა (რუსეთი) 2:0 ბენფიკა (პორტუგალია)
ფენერბაჩე (თურქეთი) 0:1 სარაგოსა (ესპანეთი)
ალემანია (გერმანია) 0:0 ალკმაარი (ჰოლანდია)
ბაზელი (შვეიცარია) 0:0 ლილი (საფრანგეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:0 სოშო (საფრანგეთი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:2 ნიუკასლი (ინგლისი)

# როიალ ლიგა 2005

**A ჯგუფი. V ტური**

ესბიერგი (დანია) 1:0 იურგორდენი (შვედეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) 0:1 ვოლერენგა (ნორვეგია)

**B ჯგუფი. V ტური**

გიოტებორგი (შვედეთი) 1:1 ტრომსიო (ნორვეგია)
ბრონდბიუ (დანია) 0:2 კოპენჰაგენი (დანია)

**C ჯგუფი. V ტური**

ბრანი (ნორვეგია) 2:1 ოდენსე (დანია)
მალმიო (შვედეთი) — ჰალმსტადი (შვედეთი) გადაიდო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
19 ტური

# განახლებული, მაშასადამე, განსაკუთრებული

*როგორ გამოიზამთრეს გუნდებმა, ვინ დასუსტდა, ვინ გაძლიერდა? რა განწყობით, რა მარაგით ხვდებიან ისინი მეორე ეტაპს...*

*და მთავარი: როგორ ფეხბურთს ვნახავთ?*

*ყველაზე უხვქომაგიანი რეგიონი ქართულ ფეხბურთში ახლა იმერეთია. ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს, მოფულიანებულმა „ზესტაფონმა" კი სეზონი თასის მერვედფინალის გადმოტანილი საპასუხო მატჩით და იქიდან „დინამოს" დაფრენით დაიწყო, ათი ათასამდე ქომაგი მიიყვანა სტადიონზე და გაახარა კიდეც.*

*ამბობენ, „თბილისი" კვლავაც სიმპათიური გუნდი იქნებაო, ხოლო „ლოკომოტივი" ბევრს გაამწარებსო.*

*და „დინამო თბილისი" თავისი ქარიზმატულობით, სკანდალებით, მითქმა-მოთქმით და უდიდესი ყურადღებით — ამ ჩემპიონატის ლოკომოტივიც „დინამო" უნდა იყოს, ყველა გუნდი „დინამოსთან" ზომავს თავის ძალას...*

**დავით თავართქილაძე**



მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველი გოლი „ტორპედო" — „ლოკომოტივის" მატჩში ქუთაისელმა ალექსანდრე კოშკაძემ გაიტანა. ვინ იქნება პირველი დღეს?

ფოთი. 18 თებერვალი. 14 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** გ. სორდია

**ფოთელებმა** შეკრება მოგვიანებით დაიწყეს, ხოლო ვიტელებმა მოსამზადებელი გრაფიკი კარგად შეადგინეს და განახორციელეს.

„ვიტ ჯორჯიას" იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალი დაუბრუნდა, ხოლო გიორგი ადამია და ლაშა ნოზაძე ბაქოს „ნეფთჩიში" და თბილისის „დინამოში" წავიდნენ.

მაგრამ აქ ერთიცაა საყურადღებო — „ვიტ ჯორჯიასთვის" „კოლხეთი" ძალიან უხერხული მეტოქეა, ფოთელებთან ვიტელებს თითქმის ყოველთვის უძნელდებათ თამაში და ალბათ არც დღეს ელით იოლი გასეირნება.

გორი. 18 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ბათუმი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**„დილაში"** მეორე ეტაპისთვის მწვრთნელი შეიცვალა — სოსო ვაშაკიძის ნაცვლად გუნდს მერაბ ხუციშვილი წვრთნის. „დილადან" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე წავიდა, მაგრამ რამდენიმე გამოცდილიც მივიდა, მეტწილად ექსდილელები „ცხინვალიდან".

ხუციშვილის თქმით, გუნდში ფინანსური სიტუაცია სტაბილურია და ვნახოთ, იქნებ არგავარდნისთვის მედგარ ბრძოლას „დილა" დღეიდან შეუდგეს.

„ბათუმში" კი პირველი ეტაპის შემდეგ მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა.

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ეროვნული

## დინამო — სიონი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ეს ტურის** ერთადერთი მატჩია, რომელსაც უპირობო ფავორიტი ჰყავს. „სიონი" ახლა ისეთ დღეშია, მას სენსაციას ვერავინ მოსთხოვს. თამაში მაინც საინტერესო უნდა იყოს, რადგან „დინამო" თამაშობს — ახლებური შემადგენლობით და „ზესტაფონისგან" ბრაზმორეული.

ქუთაისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ტორპედო

## ტორპედო — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**დღეს** „ტორპედოს" ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს, რადგან თუ წააგებს, 99,9 პროცენტია იმის შანსი, რომ „დინამო" მას სამი ქულით გადაასწრებს.

ტრადიციულად, „ტორპედოს" „ლოკომოტივთან" შინ თამაში არ უჭირს. ქუთაისელებს შერჩათ მთავარმეგოლე გია მეგრელაძე, რომელმაც „დინამოს" მიაშურა იანვარში, მაგრამ მალევე მოუწია შინ დაბრუნება.

მაგრამ „ტორპედოსთვის" ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენი მაყურებელი მივა მის საშინაო მატჩებზე. როცა ქუთაისში ხალხს სტადიონზე წასვლა არ ეზარება, „ტორპედოსთან" თამაში ყველას ძალიან უჭირს.

„ლოკომოტივმა" თითქმის შეინარჩუნა უწინდელი შემადგენლობა და რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის გარდა ორი ბრაზილიელიც დაიმატა. თუმც რამონს და ჟუანს მიკროტრავმები აწუხებთ, მათი დებიუტი ქართულ ჩემპიონატში დღეს ან შედგება, ან არა.

ზესტაფონი. 18 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — თბილისი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია; **დირექტორი:** ე. თევზაძე

**მეორე** ეტაპისთვის ორივე გუნდის შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა, „ზესტაფონშიც" და „თბილისშიც" ბევრი ნაცადი ფეხბურთელი თამაშობს. ძალიან საინტერესოა „თბილისის" ახალწვეული ახალგაზრდების ხილვა და საერთოდ, რა სახე ექნება ამ გუნდს ლუის ცაკარიასის ხელში.

ზესტაფონელთა დამრიგებლის თემურ მახარაძის ალღოსა და გამოცდილებაში ეჭვი არავის ეპარება, არც იმ ფეხბურთელების კვალიფიკაციაში, მახარაძე რომ მოძღვრავს.

მოკლედ, თუ ძალთა ბალანსს გავითვალისწინებთ, მატჩს უეჭველი ფავორიტი არ ჰყავს. „ზესტაფონმა" თასის მერვედფინალში „დინამოს" კი მოუგო, მაგრამ „თბილისს", ბოლოს და ბოლოს, არტილერიის გარდა ავიაციაც ჰყავს — ჰაერში სანდრო იაშვილის შეჩერება ალბათ ზესტაფონშიც გაჭირდება.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 12-მეგრელაძე | *ტორპედო* |
| მელქაძე | *დინამო* |
| 10-ოდიკაძე | *თბილისი/დინამო* |
| ბოზოხიძე | *ლოკომოტივი* |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 3 | 3 | 40:19 | 39 |
| ტორპედო | 18 | 11 | 6 | 1 | 32:11 | 39 |
| თბილისი | 18 | 10 | 4 | 4 | 38:22 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 4 | 6 | 30:25 | 28 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 7 | 4 | 25:16 | 28 |
| ბათუმი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:16 | 23 |
| ზესტაფონი | 18 | 6 | 1 | 11 | 16:36 | 19 |
| კოლხეთი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:23 | 19 |
| სიონი | 18 | 4 | 2 | 12 | 15:42 | 14 |
| დილა | 18 | 2 | 2 | 14 | 13:38 | 8 |

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# მეორე ეტაპი: წარდგენა წარმოდგენამდე



გია გეგუჩაძეს ოპტიმალური შემადგენლობის დასადგენად დიდი ფიქრი მოუწევს



„დინამოს" ხელმძღვანელობა წიწილებს გაზაფხულის ბოლოს დაითვლის

# ლონე და დისბალანსი

## გეგუჩაძის მორიგი გამოწვევა

ძალიან არაორდინარული და არასტანდარტული მწვრთნელია გია გეგუჩაძე — მას თბილისის „დინამოსთვის" წარმატებებიც მოაქვს და ანტირეკორდებიც, რომელთა თვლას ამჯერად არ შევუდგებით, რადგან ახლა „დინამო" ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპს იწყებს, ჰოდა, დათვლაც მერე იყოს, 30 მაისის შემდეგ.

მაგრამ, მაშინ რომ დათვლას დავიწყებთ და, თუ „დინამო" ჩემპიონი ვერ გახდა, მხოლოდ გეგუჩაძეს როდი დაეთვლება მონაგარი — შეჯამდება კლუბის პატრონისა და მმართველთა ნამოღვაწარიც.

გეგუჩაძის „დინამომ" მიმდინარე სეზონში ერთი ტიტული, საქართველოს თასი უკვე დაკარგა და მეორე ტიტულს ანუ ჩემპიონობას ალბათ მოიხვეჭს — ძალიან ლოგიკური პროგნოზი გვგონია.

„დინამომ" მეორე ეტაპისთვის 10 ფეხბურთელი დაიმატა და 3 გაუშვა — ბორის გოჩაროვი, ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია. დინამოელთა ყველაზე დიდი დანაკლისი სწორედ 24 წლის კვირკველიაა, წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, მაგრამ კვირკველიას სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა კლუბთან კონტრაქტი და ამიტომაც შეიქნა მისი გასხვისება აქტუალური — კონტრაქტის დასრულების შემდეგ ხომ იგი თავისუფალი აგენტი გახდებოდა და მისი ტრანსფერიდან „დინამო" ვერაფერს გამორჩებოდა.

„დინამომ" ნებსით თუ უნებლიეთ დაასუსტა კონკურენტები — „ტორპედოს" და „ვიტ ჯორჯიას" თითო ფეხბურთელი წაჰგვარა (შოთა ბაბუნაშვილი და ლაშა ნოზაძე), ხოლო „თბილისს" ხუთი — ბექა შეყრილაძე, სერგო ორბელაძე, რევაზ გეწაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე და დავით ოდიკაძე.

„დინამოს" პრეს-სამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის ცნობით, ყველა ამ ფეხბურთელთან კონტრაქტი გაფორმებულია. მისივე თქმით, დღე-დღეზე სრულუფლებიანი დინამოელი გახდება კობა შალამბერიძეც.

„საბოლოოდ დასაზუსტებელი ისლაა, რომელ ფეხბურთელებს შეიყვანენ ძირითადი გუნდის განაცხადში. ამას თავად გია გეგუჩაძე გადაწყვეტს. ისე კი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — კლუბს „დინამო 2"-დანაც შეუძლია ფეხბურთელების საუმაღლესლიგოდ გამოყენება" — გვითხრა გუშინ ლევან სალუქვაძემ.



ლაშა ნოზაძე



გოჩა ჯამარაულს ხელმეორე დინამოური დებიუტი „ზესტაფონმა" გაუხუნა




ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ უცნაურია, როცა ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს კლუბის პრესსამსახურს საჩემპიონატო განაცხადზე ინფორმაცია არა აქვს.

ყველაზე ყურადსაღებ ტრანსფერს რაც შეეხება — 33 წლის გოჩა ჯამარაული, რომელმაც თავისი კარიერის საუკეთესო მატჩები სწორედ თბილისის „დინამოში" ითამაშა.

მაგრამ აქ ერთიცაა — გეგუჩაძის „დინამო" პირველ რიგში კარგი სინქრონული მოქმედებით გამოირჩევა და როგორ ჩაჯდება ჯამარაული ასეთ კონცეფციაში, მართლაც საინტერესოა. აქ მაინცდამაინც ჯამარაულის ასაკში არაა საქმე, გოჩა გამორჩეული ყაიდის ფეხბურთელია.

ჯერ არავინ იცის, გეგუჩაძე როტაციის პრინციპს როგორ გამოიყენებს. მას პირველ წრეშიც უყვარდა შემადგენლობის ცვლა, ძალების დაზოგვა და გადანაწილება. ახლა კი ამის უკეთესი საშუალება აქვს, რადგან გუნდში უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი დაუგროვდა. გეგუჩაძემ ისიც თქვა, ვინძლო, რამდენიმე მათგანი „დინამო 2"-ში ანუ პირველ ლიგაში ვათამაშოთო.

ერთი სიტყვით, გეგუჩაძემ თავი აიტკივა და ძალიან კომპლექსურ საქმეს შეეჭიდა — ბევრი კარგი ფეხბურთელი „დინამომ" იმიტომაც გადაიბირა, რომ დამდეგი ევროფრონტისთვის ზრუნავს და თუ იქ „დინამომ" შარშანდელივით გადალახა რამდენიმე ეტაპი, შარშანდელზე მეტი კარგი ფეხბურთელი აუცილებლად დასჭირდება.

მანამდე კი „დინამოს" ძალიან სჭირდება ჩემპიონობა. მასთან ყველა გუნდი ცდილობს თავის გამორჩენას, მაგრამ ძალიან დიდ დისბალანსთან გვაქვს საქმე — „დინამო" დანარჩენ გუნდებს პირობებით ბევრად აღემატება. თუმც დისბალანსი მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ მე უფრო უკეთეს და უფრო მეტ ფეხბურთელს შევიძენ, დისბალანსის უკან ბევრი ფაქტორია და იმედია, რომ „დინამო" შარშანდელივით არ გაეხვევა რაიმე სკანდალში — არბიტრი კახა მესხი და მაშინდელი „თბილისი" — „დინამო" ხომ ახლაც გვახსოვს.

ერთი კია, დისბალანსი ისეთი ფაქტორიცაა, „დინამოს" მხოლოდ ჩემპიონობას რომ აიძულებს.

**დავით თავართქილაძე**

## მეორე ეტაპი: წარდგენა წარმოდგენამდე

# სამეული და ჯანმრთელობა

## ოთარ გაბელია: ტორპედო არ დასუსტებულა

„ტორპედომ“ რომ მიმდინარე სეზონი რიხიანად დაიწყო და თამაშს თამაშზე იგებდა, ბევრმა ეს სასტარტო ფაციფუცად ჩათვალა — შეკრებაგაუვლელი გუნდია და მოვა დრო, ჩაყვინთავსო... მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ოთარ გაბელიას გუნდი კარგა ხანს წაუგებლად ლიდერობდა და, მართალია, მეორე წრეში მცირე კრიზისი ჰქონდა, ბოლო ტურებში „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრად ისეთი თამაში მოუგო, თქვენი მოწონებული.

მაინც რატომ იყო „ტორპედოს“ ლიდერობა სენსაცია, ისტორია დაეწუნება ამ კლუბს თუ?! საქმე ისაა, რომ ქუთათურები, ზემოთაც ვთქვით, ჩემპიონატს შეკრებაგაუვლელები და მოუმზადებლები შეხვდნენ და არც ფული გადასდიოდათ თავზე, მაგრამ, საბედნიეროდ, ფეხბურთში მარტო პირობები და თანხა არ წყვეტს ყველაფერს, თორემ ყატარი, ქუვეითი და მისთანები მსოფლიოს ჩემპიონები გახდებოდნენ. უბრალოდ, „ტორპედო“ ყველა გაჭირვებას გადაახტა, ნიჭით და კლასით იგებდა თამაშებს. იმერლები ახლა მეორე ადგილზე არიან და მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩებიან „დინამოს“, თორემ გია გეგუჩაძის ბიჭებს შინ ფრედ ეთამაშნენ, თბილისში კი სულაც მოუგეს.

გუნდს ყველა ხაზში ჰყავდა ლიდერები: მეკარე ზვიად სტურუა თითქმის შეუცდომელი იყო, დაცვას დავით გამეზარდაშვილი ყოჩობდა, შუა ხაზში ნერგაძე-კოშკაძე-ბაბუნაშვილ-ბოლქვაძის დარ ოთხეულს ბევრი ქართული კლუბი ინატრებს, თავდასხმაში კი გია მეგრელაძე თავის საქმეს ხუთიანზე აკეთებდა.

ზამთრის შესვენებაზე „ტორპედო“ უფრო დასუსტდა, ვიდრე გაძლიერდა: სტურუამ „ლოკომოტივს“ მიაშურა, კაპიტანი შოთა ბაბუნაშვილი „დინამოში“ გადავიდა, მცველი სევასტი თოდუა კი მეზობელ „ზესტაფონში“ დამკვიდრდა და ეს სამი ფეხბურთელი რა ძალას წარმოადგენდა ქუთათურებისთვის, მგონი, ყველამ იცის. ერთი ხანობა მეგრელაძეც „დინამოში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ საბოლოოდ მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა და ანთალიურ შეკრებაზეც გაჰყვა. „ტორპედო“ ასევე დატოვეს მცველმა ლაშა ადუაშვილმა, ნახევარმცველებმა — ალექსანდრე ლალაძემ და არჩილ დათუნაშვილმა, თავდამსხმელებმა — შალვა მუმლაძემ და გაგა ჩხეტიანმა, თუმც ისინი ძირითადის უცვლელ წევრებად არც ითვლებიან.



ოთარ გაბელიამ მთავარმეგოლე გია მეგრელაძე მაინც შეინარჩუნა

სანაცვლოდ ოთარ გაბელიას გუნდს შეემატნენ ექსვიტჯორჯიელი მეკარე მირზა მერლანი, ზესტაფონელი მცველი თემურ რაქვიაშვილი, წყალტუბოს „სამგურალიდან“ დავით ონიანი და რატი ბარაბაძე, გორის „დილადან“ კახა წუწუნავა, თბილისის „ლოკომოტივიდან“ მიხეილ სოსელია, რუსეთის ქვედა ლიგიდან ფორვარდი რეზო ჯიქია, ასევე ახალგაზრდები — მამუკა ლონლაძე და გიგლა ახალაია.

„ვერ ვიტყვი, რომ შემადგენლობის მხრივ დავსუსტდით. მერლანი საიმედო მეკარეა და, წესით, სტურუა სრულფასოვნად უნდა შეცვალოს. ბაბუნაშვილი უდიდესი ძალა იყო, მაგრამ მის ადგილზე გამთამაშებლად „ლოკომოტივიდან“ გადმოსულ მიხეილ სოსელიას ვათამაშებთ. კიდევ კარგი, მეგრელაძე ჩვენთან დარჩა, მაგრამ თენგიზ ჩიკვილაძე რომ ვერ შევიძინეთ, ამაზე ძალიან დამწყდა გული. ჩიკვილაძე ანთალიაშიც გვყავდა, ჩვენთან განათხოვრებით უნდა ეთამაშა, მაგრამ „ზესტაფონმა“ თავისი გაიტანა და ოთხი დღით ადრე წაგვართვა. ასეა თუ ისე, შევსება ნორმალურია. ეგაა, ძველი შემადგენლობა უფრო შეთამაშებული იყო, ამათ კი თავიდან გაუჭირდებათ“ — ამბობს ოთარ გაბელია.

ანთალიის ნანატრ შეკრებაზე „ტორპედომ“ ოთხი საკონტროლო მატჩი გამართა, თუმც ვერც ერთი მოიგო: აზერბაიჯანულ „ყარაბახს“ უგოლო ფრით დაშორდა, ბელარუსულ ბატე-ს 2:2 ეთამაშა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ და უკრაინულ „კარპატისთან“ კი დიდი ანგარიშებით (შესაბამისად, 1:5 და 1:4) წააგო.

გაბელია მწირ მონაგარს ასეთ ახსნას უძებნის. „ცუდი შედეგები იმის ბრალია, რომ ჩვენ ახალი ჩასულები ვიყავით თურქეთში, სხვა გუნდები კი უკვე მეორე შეკრებას გადიოდნენ და ფიზიკურად დაგვჩაგრეს. მაინც კმაყოფილი დავრჩი, „ცრვენა ზვეზდას“ დონის გუნდთან თამაში ძალიან წაგვადგება ჩემპიონატში. მაგალითად, შარშან ზამთარში „თურქმენბაშის თასზე“ რომ ვიყავით, ამას შეკრება არც ერქვა. ყოველ შემთხვევაში, ანთალიას ვერც შევადარებ“.

„ტორპედოს“ დამრიგებელი გუნდის დღევანდელი კონტინგენტით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი კია, მაგრამ ჩემპიონობაზე ფიქრი არარეალურად მიაჩნია — ჩვენი მიზანი სამეულში ყოფნა იქნებაო. „რომ ამბობენ, „თბილისი“ დაიშალაო, ეგ აბსურდია. „დინამომ“ კი იმდენი ფეხბურთელი დაიმატა, უეჭველად უფრო ძლიერად ათამაშდება. ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივიც“ მოუმატებენ. ჩვენც ჩვენსას ვეცდებით, მაგრამ ჩემპიონობა ნამეტანია. აგერ, უკვე თამაში გვაქვს „ლოკომოტივთან“. გაგვიძნელდება, მაგრამ მოსაგებად თავს შევაკლავთ“ — გაბელია რეალურად მსჯელობს, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ „ტორპედომ“ მიმდინარე სეზონის პირველი და ერთადერთი მარცხი სწორედ „ლოკოსთან“ იწვნია მეათე ტურში.

ახლა „ტორპედოს“ ინფრასტრუქტურაზეც ვთქვათ: გეცოდინებათ, წლეულს ულიცენზიო კლუბები ევროტურნირებზე არ დაიშვებიან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმაც არაერთხელ შეახსენა იმერული კლუბის ხელმძღვანელებს, საჭირო საბუთები დროზე შეკრიბეთო. არ ვიცით, გადის თუ არა „ტორპედო“ ლიცენზირებას, მაგრამ ოთარ გაბელიამ გვითხრა, ფედერაციიდან კომისია იყო ჩამოსული და მაგ საკითხზე მუშაობენო. ლიცენზირება ცალკე თემაა. იმედია, „ტორპედო“ ამ საქმეს არ გააჭიანურებს და ახალი სკანდალი არ წამოყოფს თავს — ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ქუთათურებმა ევროტურნირების საგზური რომ მოიპოვონ და ნაჯაფარი წყალში ჩაეყაროთ?

...დღეს კი „ტორპედოს“ სტადიონი ისევ ახმაურდება. ქუთაისელი ქომაგები საყვარელი გუნდისგან საპირველეტაპო წინსვლის გაგრძელებას ელიან.

***მეკარეები:*** *მირზა მერლანი, ნუკრი რევიშვილი, გიორგი გაბელია;*

***მცველები:*** *გიორგი მეძარნიშვილი, კახა ებრალიძე, დავით გამეზარდაშვილი, ლევან მერებაშვილი, რატი ბარაბაძე, თემურ რაქვიაშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *გია ნერგაძე, მიხეილ სოსელია, დავით ბოლქვაძე, დავით ონიანი, გიგლა ახალაია, ალექსანდრე კოშკაძე;*

***თავდამსხმელები:*** *გია მეგრელაძე, კახა წუწუნავა, რევაზ ჯიქია, მამუკა ლონლაძე.*



მირზა მერლანს კარი ქუთაისში გაულეს



შოთა ბაბუნაშვილი ახლა „დინამოსთვის“ შეუტევს






კრისტიანო რონალდოს თავის გუნდში ხილვა „ჩელსის“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს სურს

# იაფად და ძვირად

## რონალდო ჩელსისკენ იცქირება

**ჟოზე მაურინიუ** მზადაა ახალი ფეხბურთელი იყიდოს. „ჩელსი“ 2 მილიონ გირვანქას იხდის სრულიად უცნობ ფეხბურთელში და „საუთჰემპტონს“ სთხოვს წამოწყებული საქმე არ გაუჯანჯლოს. ამბობენ, ეს ფეხბურთელი ვუნდერკინდია, 15 წლისა გახლავთ და ორივე ფრთაზე ჩინებულად თამაშობსო. ბიჭს თეო უოლკოტი ჰქვია. ერთიც ვნახოთ და ძალიან მაგარი შეიქნეს...

მანამდე კი, „მანჩესტერში“ ნელნელა გორდება სკანდალი კრისტიანო რონალდოს შესახებ. პორტუგალიელი ვარსკვლავი იმგვარი სიჩქარით ითხოვს კონტრაქტის განახლებას, რომ სერ ალექსმა ურჩია, ფეხბურთზე მეტი იფიქრეო.

ახლა კი ირკვევა, რომ რონალდოს აგენტი „მანჩესტერთან“ „ჩელსით“ პროვოცირებს, თუ ხელფასის მკვეთრ ამაღლებაზე არ წამოხვალთ, ჩემი კლიენტის მყიდველი უკვე მყავსო.

ახლახანს გახმიანებულა, რომ მაურინიუს აბრამოვიჩისთვის უთხოვია, მაგ ბიჭის გადმოსაბირებლად, ნურაფერს დავიშურებთო.

ხოლო თუ იმასაც შეიტყობთ, რომ რონალდოს აგენტი ჟორჟე მენდეში ის კაცია, ვინაც მაურინიუ გადაიყვანა „პორტუდან“ „ჩელსიში“, ბევრ რამეზეც დაგაფიქრებთ.

გასულ შაბათს რონალდომ თქვა, რომ მისი მოლაპარაკებები კონტრაქტის განახლების შესახებ ახლა ჩიხშია მოქცეული. ფეხბურთელს თურმე ეჯერა, რომ „ჩელსი“ ბრიტანეთისთვის სარეკორდო 30 მილიონ გირვანქას გადაუხდის „მანჩესტერს“, ანუ იმაზე ორჯერ (და მეტჯერ) მეტს, ვიდრე „მანჩესტერმა“ 18 თვის წინ გადაუხადა ლისაბონის „სპორტინგს“, რომლის ძირითადშიც რონალდოს სულ რამდენჯერმე ეთამაშა, ოღონდ დიდი წარმატებით.

„მანჩესტერში“ რონალდო კვირაში 15 ათას გირვანქას იღებს და ეცოტავება, ამბობს, რომ „ჩელსიში“ თუ გადავა, კვირაში სულ ცოტა, 70 ათასს გადაუხდიან.

„თუმცა, მგონია, რომ „მანჩესტერი“ ამას არ დაუშვებს და ჩემს აგენტს დათანხმდება“ — დასძენს ბოლოს 20 წლის ფეხბურთელი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# უმდიდრესნი

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** კვლავაც რჩება მსოფლიოს უმდიდრეს გუნდად შემოსავლების მიხედვით, „ჩელსი“ კი სამეულს უახლოვდება.

2003-04 წლების სეზონში „მანჩესტერის“ შემოსავალმა 172 მილიონი გირვანქა შეადგინა. „ჩელსი“ ადრე მეათე იყო, ახლა კი 153 მილიონით მეოთხე შეიქნა, თუმცა, ექსპერტთა აზრით, მისი სწრაფი წინსვლა არ ნიშნავს იმას, რომ უახლოეს ხანს უმდიდრესი იქნება.

წლევანდელი სეზონის ბოლოსთვის კი მსოფლიოს 20 უმდიდრესი კლუბის შემოსავალი 2 მილიარდ გირვანქას (3,8 მილიარდ დოლარს) მიუახლოვდება.

შემოსავლები დათვლილია ბილეთების გაყიდვის, შემოწირულობების, საკლუბო საგნებით ვაჭრობის, ტელერეპორტაჟების, არასამატჩო დღეებში სტადიონების გაქირავების მიხედვით.

„მანჩესტერის“ ბრენდი კვლავაც ყველაზე იოლად ცნობადია, თუმცა, მადრიდის „რეალი“ სულ ახლოს და ახლოსაა. „რეალმა“ გაითავისა „მანჩესტერული“ მარკეტინგი, დევიდ ბექემიც კი იყიდა და აზიურ ბაზარზე გაერია.

სანაცვლოდ „მანჩესტერი“, რომელიც კვლავაც რჩება პირველ გუნდად აზიაში, ახლა ამერიკას უმიზნებს. სხვა ქვეყანაში გულშემატკივრებისთვის ბრძოლა კვლავაც გაგრძელდება.

აი, უმდიდრესთა ოცეული. შემოსავალი დათვლილია გირვანქა სტერლინგებით. ფრჩხილებში მითითებულია ადგილი წინა სეზონში.

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | მანჩესტერი | 171,5 |
| 2 (4) | რეალი | 156,3 |
| 3 (3) | მილანი | 147,2 |
| 4 (10) | ჩელსი | 143,7 |
| 5 (2) | იუვენტუსი | 142,4 |
| 6 (7) | არსენალი | 115 |
| 7 (13) | ბარსელონა | 110,1 |
| 8 (6) | ინტერი | 110,1 |
| 9 (5) | ბაიერნი | 110,1 |
| 10 (8) | ლივერპული | 92,3 |
| 11 (10) | ნიუკასლი | 90,5 |
| 12 (11) | რომა | 72 |
| 13 (18) | სელტიკი | 64 |
| 14 (16) | ტოტენჰემი | 66,8 |
| 15 (15) | ლაციო | 65,8 |
| 16 (-) | მან. სიტი | 61,9 |
| 17 (14) | შალკე | 60,5 |
| 18 (-) | მარსელი | 58,3 |
| 19 (-) | რეინჯერსი | 57,1 |
| 20 (-) | ასტონ ვილა | 55,9 |

**ირაკლი გამყრელიძე**



მსოფლიოს მდიდრები „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები არიან

# რომანი მილანში

## აბრამოვიჩი ჯერ ისეირნებს

**„ჩელსის“** პატრონი რომან აბრამოვიჩი ახლა მილანში იმყოფება და ადგილობრივი კლუბების ხელმძღვანელებს ხვდება. დიდი შანსია, მხარეებმა სხვადასხვა საკითხებზე საბოლოო შეთანხმებას სწორედ ამ ვიზიტისას მიაღწიონ.



რომან აბრამოვიჩი არგენტინელი ფეხბურთელების საქმეებს აგვარებს

აბრამოვიჩმა ჩასვლისთანავე „აპიანო ჯენტილეს“, „ინტერის“ საწვრთნელ ბაზას მიაკითხა და უნდა მის უფროსობას მოეთათბიროს, რადგანაც ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ბრაზილიელი ადრიანოს ხელში ჩაგდებას შეძლებს. სავარაუდოდ, მხარეები კრისტიან ვიერის შესაძლო ტრანსფერზედაც ისაუბრებენ.

თავისი ინტერესები აქვს „ინტერსაც“. „ნეროაძურის“ შეფობას „ჩელსისგან“ ნათხოვარი არგენტინელის, ხუან სებასტიან ვერონის შენარჩუნება სწადია, მაგრამ მისი საყიდელი ფული არ აქვს და არც ზემოთ ნახსენები ადრიანო ეთმობა. როგორც ვარაუდობენ, მორატი და კომპანია აბრამოვიჩს ვერონის სანაცვლოდ ედგარ დავიდსს შესთავაზებს.

მერე რომან აბრამოვიჩი „აპიანო ჯენტილედან“ იქვე, „მილანელოში“, ახლა უკვე „მილანის“ თავებს მოინახულებს და მათაც იგივე პრობლემაზე დაელაპარაკება.

ბევრჯერ გვითქვამს და დაგვიწერია კიდეც, რომ „შავ-წითლებს“ ლონდონური კლუბიდან ასევე არენდით აყვანილი ლეგიონერის, ერნან კრესპოს საბოლოოდ დატოვება აქვთ განზრახულიო. კრესპო ბოლო დროს ძველებურად ათამაშდა, გოლებიც ხშირად გააქვს და „მილანის“ ლიდერ ანდრეი შევჩენკოსაც ჩინებულად შეეწყო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მსაჯის ცრემლი

## მარკუს მერკი რობერტ ჰოიზერის გვარს ვერ წარმოთქვამს

*ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გერმანელი მსაჯი მარკუს მერკი, მის ქვეყანაში ამტყდარი საფეხბურთო გარიგებათა სკანდალის გამო ისეა განრისხებული, რომ ამ სკანდალის მთავარი გმირის, რობერტ ჰოიზერის გვარსა და სახელს არც კი ასახელებს*



„ამ სახელსა და გვარს ჩემი ლექსიკონიდან საბოლოოდ ვილებ — თქვა ცრემლებამდე მისულმა მერკმა, რომელიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ამოხეთქილ ყველაზე ხმაურიან საქმეს თავისი ქვეყნის შეურაცხყოფად აღიქვამს — ბოლო დღეები ჩვენთვის ძალიან ძნელი გადასატანი იყო. ეს გახლდათ ძალიან მწარე გაკვეთილი პირადად ჩემთვის, რადგან ფეხბურთი და მსაჯობა ჩემი ცხოვრების, სულის ნაწილია. არადა, სულ რაღაც ოთხი კვირის წინ ჩემი გუნდის, ნებისმიერი კოლეგის გამო საკუთარ სიცოცხლეს ჩამოვიდოდი...“

მერკმა ეს სიტყვები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 46 კანდიდატი მსაჯის ეგრეთწოდებულ „უორქშოპზე“ თქვა და დასძინა, რომ მისი პროფესიის პირუთვნელი სახელის აღსადგენად ყველა ღონეს იხმარს.

„მთელს ამ ისტორიას აქვს ერთადერთი დადებითი მხარე — ჩემთან მოდიან ადამიანები და ფეხბურთისადმი ნდობის აღდგენას მთხოვენ. მესმის, რომ უახლოესი პერიოდი ძნელი იქნება, მაგრამ გამოწვევას ვიღებთ. ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა ხალხმა ფეხბურთს ეჭვის გარეშე უყუროს“.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის მსაჯი რობერტ ჰოიზერი შაბათის შემდეგ საპატიმროშია. მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება რვა პუნქტისგან შედგება და შეეხება ორგანიზებულ დანაშაულს. აქ საუბარია 2004 წელს ჩაწყობილ თოთხმეტ შეხვედრაზე.

ჰოიზერის გარდა, ახსენეს კიდევ რამდენიმე არბიტრი, კერძოდ დომინიკ მარქსი, რომელზეც აგრეთვე ეჭვია მიტანილი, იურგენ იანსენი, პირველი ბუნდესლიგის მსაჯი, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ყველაფერს, რაც ჰოიზერმა მასზე თქვა და მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი ფელიქს ცვაიერი.

რაც შეეხება ადრე ნახსენებ ტორსტენ კოოპს, იგი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა დასაჯა ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით. მიზეზი: ჰოიზერს მისთვის ნაამბობი ჰქონდა გარიგებული მატჩების შესახებ, მან კი ეს კავშირს დროულად არ აცნობა.

**პაპუნა ძედია**

*ამ დღეებში დარხეული ხმების პასუხად, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ მას და მის კლუბს „ბარსელონადან“ რონალდინიოს ყიდვის შანსი უბრალოდ, არ აქვთ. შეგახსენებთ, რომ ხმა რონალდინიოს „მილანში“ შესაძლო გადაბარგების შესახებ თავად ბრაზილიელი ფეხბურთელის ერთი ნათქვამის გამო გავრცელდა — მან განაცხადა, რომ „შავ-წითლებმა“ თანამშრომლობა შესთავაზეს და „მილანის“ მიმართ დიდი სიმპათია გამოხატა.*

# გალიანის რამდენიმე ოცნება

## პარმაში ჯილა ჰყავს, ბარსელონაში სიმპათია

„რონალდინიო მართლა ძალიან მომწონს და მან ეს თავადაც კარგად იცის, მაგრამ ამ ქვეყნად არიან ფეხბურთელები, რომელთა ჩვენთან გადმოყვანა მხოლოდ ოცნებად რჩება და ერთი მათგანი სწორედ რონალდინიოა — განუცხადა გალიანიმ „რადიო იტალიას“ — მას „ბარსელონა“ ტრანსფერზე არასდროს დააყენებს, იგი მათთვის ხელშეუხებელია და მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ“.



„მილანში“ რონალდინიო არა, მაგრამ ალბერტო ჯილარდინო კი შეიძლება მივიდეს

გალიანიმ აგრეთვე უარყო ხმები, თითქოს იგი „რომადან“ ფრანჩესკო ტოტისა და ანტონიო კასანოს წყვილის გადაბირებას ცდილობს, თუმცა „პარმადან“ ალბერტო ჯილარდინოს გადმოყვანის ამბავი შორს ნამდვილად არ დაუჭერია.

„ტოტი და კასანო? მათთან დაკავშირებითაც ზუსტად იმავეს თქმა შემიძლია, რაც რონალდინიოზე ვთქვი, ხოლო ჯილარდინოზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვნახოთ, ჯერჯერობით ზაფხულამდე დავიცადოთ და მოვლენების განვითარებას დაველოდოთ“.

ალბერტო ჯილარდინო, გასულ სეზონში 23 გოლის ავტორი, როგორც მოსალოდნელია, ივნისში გადავა „პარმადან“ „მილანში“.

ბუნებრივია, ჯილარდინოს თემის წამოწევა ავტომატურად ბადებს „მილანისა“ და ფილიპო ინძაგის მომავალ ურთიერთობასთან დაკავშირებულ კითხვებსაც, თუმცა ჯერჯერობით გალიანი ასე პასუხობს: „ინძაგის ნაირ ფეხბურთელებს არავინ ჰყიდის“.

**პაპუნა ძედია**

---

*„რომას“ გულშემატკივრებზე ნაწყენმა ფრანჩესკო ტოტიმ მომავალ ზაფხულს ეგებ მართლაც დატოვოს დედაქალაქი. ადგილობრივი პრესა, როგორც სჩვევია, წინ უსწრებს მოვლენებს და რომაელთა კაპიტნისთვის ახალ გუნდს კალეიდოსკოპური სისწრაფით ეძებს. ჯერ „მილანიო“, მერე „რეალზე“ და „ინტერზეც“ ითქვა. ახლაა და იქაურმა ჟურნალ-გაზეთებმა ასეთი და ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ჭორი გაავრცელეს — ტოტი, კაპელოს, ძებინასა და ემერსონის მსგავსად, „იუვენტუსში“ გადავაო*

# ტოტი იუვეს არ სჭირდება

## ტურინში გემრიელ კერძებს ამზადებენ

**ტურინელთა** გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ეს მითქმა-მოთქმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში მაშინვე გააქარწყლა. სამაგიეროდ, „იუვეს“ ტრანსფერების გურუმ არც უარყო და არც დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტურინული კლუბი „რომას“ მეორე ფორვარდის, ანტონიო კასანოს შეძენაზე ფიქრობს.

„არ მესმის, სატრანსფერო სეზონში ჩვენგან სენსაციურ შენაძენებს რატომ ელოდებით. მგონი, ეს არ გვჭირდება, რადგან შედეგებიდანაც ჩანს, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები უკვე ჩვენთან არიან. შესაძლოა, შედარებით მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — ფეხბურთელების ტყუილად ყიდვა არ გვიყვარს“ — დასძენს მოჯი.

„იუვენტუსი“ მართლაც მოკლე სათადარიგოთა სკამით, შეიძლება ითქვას, 12-13 კაცით თამაშობს, თუმც გუნდის ხელმძღვანელობას ეს გარემოება არ აშინებს და წარმატებების სჯერა. ტურინელთა გენერალურ მენეჯერს ამაზეც ჰკითხეს — თქვენი საიდუმლო რაშიაო.

ლუჩანო მოჯი: „სინამდვილეში ეს ძალიან ძნელი ასახსნელია. შეიძლება, საჭმლის მომზადებასაც შევადაროთ — სათანადო და სალი პროდუქტი ხომ უნდა შეარჩიო, რათა გემრიელი კერძი გამოგივიდეს? ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს შეგვიძლია პროფესიონალიზმიც დავარქვათ, რომელიც ჩვენი გუნდის მთავარი დევიზი და წარმატების საწინდარია“.

**გიორგი ძაძამიძე**




ფრანჩესკო ტოტის იტალიურმა მედიამ ახალი ჭორი გაუვრცელა

---




**ჩეხეთის** საფეხბურთო კავშირმა „ლიბერეცს“ გამბრინუსლიგის ცხრილში ექვსი ქულა ჩამოაჭრა, ამასთანავე კლუბი 500 ათასი კრონითაც (21, 459 დოლარი) დააჯარიმა. მიზეზი კი ისაა, რომ „ლიბერეცმა“ 2004 წლის 1 მარტს ანუ წინა ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში, „ზლინთან 3:0 მოგებულ შეხვედრაში მსაჯი მოქრთამა.

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ მზადაა, „რეალთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმოს. მოქმედ შეთანხმებას კი ვადა 2006 წლის ზაფხულში ეწურება. 32 წლის ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ ისიც აღნიშნა, „რეალიდან“ თუ წავალ, ესპანეთსაც დავტოვებო.

**იტალიური** „რომას“ ბერძენი მცველი, ტრაიანოს დელასი სეზონის ბოლოს გუნდის დატოვებას აპირებს. მან კლუბის უფროსობა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ვერ დაიყოლია. დელასის აგენტი მაურიციო ტონიკი მალე ესპანეთში გაემგზავრება და „ბეტისის“, „დეპორტივოსა“ და „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას დელასის ტრანსფერზე დაელაპარაკება.

**ინგლისური** „მანჩესტერის“ შოტლანდიელი ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი ორ თვეს ვერ ითამაშებს, იგი „სიტისთან“ მატჩში დაშავდა. ფლეტჩერი „მილანთან“, ჩემპიონთა ლიგის ორივე მერვედფინალურ შეხვედრას გამოტოვებს, ხოლო შოტლანდიის ნაკრებს იტალიასთან დააკლდება.

**იტალიური** პრესის ცნობით, „იუვენტუსმა“ პაველ ნედველს კიდევ ერთხელ შესთავაზა კონტრაქტის გახანგრძლივება, მაგრამ პასუხად კვლავ უარი მიიღო, რადგან ნედველს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კარიერა 2006 წელს დაასრულოს. „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა ბოლომდე ეცდება, ჩეხს აზრი შეაცვლევინოს.

**ბრაზილიური** „ბოტაფოგოს“ ფორვარდ გილერმეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი ორი ადამიანის მკვლელობაში და ხუთი პიროვნების დაშავებაშია მხილებული. საქმე სამი წლის წინ მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხება, როცა ნასვამმა გილერმემ ავტოავარია მოახდინა. მისმა ადვოკატმა განაჩენი უკვე გაასაჩივრა.

**რუსული** „დინამოს“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ კიდევ ორი პორტუგალიელი — ფრანსისკო კოშტინია და მანიშე რიბეირუ კლუბს ზაფხულში შეუერთდებიან. მანამდე კი „პორტუს“ წამყვანი ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგაში და პორტუგალიის ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებენ.

**იტალიური** „ლაციო“ სულ ცოტა ერთი თვით ანჯელო პერუცის გარეშე ითამაშებს. დაწვრილებითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ვეტერანი მეკარის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია. პერუცი „ატალანტასთან“, სერია A-ს ბოლო ტურის მატჩში დაშავდა. მის არყოფნაში კი „ლაციოს“ კარს სათადარიგო მატეო სერენი დაიცავს.

**უნგრეთის** ნაკრებისა და ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ მცველი ჩაბა ფეჰერი სამშობლოში დაბრუნდა და სეზონის ბოლომდე „უიპეშტში“ ითამაშებს. 30 წლის ფეხბურთელი ჰოლანდიურ გრანდში გასულ ზაფხულს, „ბრედადან“ ჩაირიცხა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. ფეჰერმა გუნდი უნგრეთის ნაკრებში ადგილის დაკარგვის საშიშროების გამო გამოიცვალა.

**ბერძნულ** „პანათინაიკოსს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — იტალიელმა ალბერტო მალეზანიმ უკვე პირველი ვარჯიშიც ჩაატარა და მომავალ უქმეებზე, „ეგალეოს“ წინააღმდეგ მისი დებიუტიც შედგება. მხარეებმა წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს და ამ ხნის მანძილზე მალეზანი ხელფასის სახით 1 მილიონ ევროს ჩაიჯიბავს.

Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2005

II ჯგუფი. I ტური

ბოლივარი (ბოლივია) 4:3 სანტოსი (ბრაზილია)

VII ჯგუფი. I ტური

კობრელოა (ჩილე) 1:3 გვადალახარა (მექსიკა)

VIII ჯგუფი. I ტური

სპორტინგ კრისტალი (პერუ) 2:0 პაჩუკა (მექსიკა)

### შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/4 ფინალის

წილისყრა

კლაიდი — სელტიკი; ჰართსი — ლივინგსტონი; დანდი იუნაიტედი — აბერდინი; ჰიბერნიანი — სენტ მირენი

მატჩები გაიმართება 26-27 თებერვალს

### ამხანაგური მატჩი

კოსტა რიკა 1:2 ეკვადორი

1:0 ე. ალფარო (46), 1:1 მ. აიოვი (60პ), 1:2 გუაგუა (86)

### ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

*ატლეტიკო* 1:0 ნუმანსია (0:0)

1:0 ფ. ტორესი (67პ)

### იტალია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

*ინტერი* 3:0 ატალანტა (1:0)

1:0 რეკობა (32), 2:0 ემრე (36), 3:0 ხულიო კრუზი (55)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი
### 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**შახტარი (უკრაინა) 1:1 შალკე (გერმანია)**

0:1 აილტონი (7), 1:1 ბრანდაუ (86)

შახტარი: ლაშტუვკა, სრნა, პუზშმანი, ლევანდოვსკი, რაცი, ტიმოშჩუკი, დულიაი (ელანო 46), მატუზალემი, ვუკიჩი (ჟადსონი 74), ბრანდაუ, აგაპოვა

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

შალკე: როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ალტინტოპი (ასამოა 76), პოულსენი, ვერმანტი, კობიაშვილი, აილტონი, სანდი (ჰანკე 81)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ტიმოშჩუკი, ალტინტოპი, ასამოა

მსაჯი: ესპენ ბერნსტენი (ნორვეგია)

20 000 მაყურებელი

**პარტიზანი (სერბეთი) 2:2 დნიპრო (უკრაინა)**

1:0 ოდიტა (12), 1:1 ნაზარენკო (28), 2:1 ოდიტა (45), 2:2 რუსოლი (57)

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 სევილია (ესპანეთი)**

1:0 ვინტრა (75)

**აიაქსი (ჰოლანდია) 1:0 ოსერი (საფრანგეთი)**

1:0 მაქსველი (37)

**პარმა (იტალია) 0:0 შტუტგარტი (გერმანია)**

**ვალენსია (ესპანეთი) 2:0 სტიაუა (რუმინეთი)**

1:0 დი ვაიო (38), 2:0 აიმარი (53)

**სპორტინგი (პორტუგალია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)**

0:1 გოორი (7), 1:1 კუშტუდიუ (22), 2:1 ლიდსონი (36)

**აუსტრია (ავსტრია) — ბილბაო (ესპანეთი)** *დიდთოვლობის გამო გადაიდო*



პანათინაიკოსი — სევილია. ანგელოს ბასინასი და ბერძნები ერთადერთი გოლით ხარობენ

REUTERS

# სტუმარმასპინძლობა ევროპულად
# ცოტა გოლი და მოტყუებული ქომაგი

| 10188 | ლევანტე-სარაგოსა | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.6 | 2.0 |
| 13078 | მანცი-არმინია | 1.6 | 2.0 |
| 13079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.6 | 2.0 |
| 13081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.6 | 2.0 |
| 13082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.6 | 2.0 |
| 13083 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.6 | 2.0 |
| 13084 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.6 | 2.0 |
| 13085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 13086 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.6 | 2.0 |
| 13135 | მესინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13136 | მილანი-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13138 | უდინეზე-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 13139 | სიენა-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13140 | კიევო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13141 | პალერმო-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13142 | რომა-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 13143 | სამპდორია-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13144 | ატალანტა-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13145 | პარმა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13177 | რეალი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 13180 | მალაგა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13181 | ბეტისი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13185 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13186 | სოსიედადი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13187 | რასინგი-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13188 | ლევანტე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.8 |
| 14078 | მანცი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 14079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.3 | 2.5 |
| 14081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.65 | 2.3 |
| 14082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.45 | 2.4 |
| 14083 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.4 |
| 14084 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.1 | 1.75 |
| 14085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.95 | 1.85 |
| 14086 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.7 | 2.2 |
| 14135 | მესინა-იუვენტუსი | 2.4 | 1.45 |
| 14136 | მილანი-კალიარი | 1.15 | 2.7 |
| 14138 | უდინეზე-ინტერი | 2.0 | 1.8 |
| 14139 | სიენა-ფიორენტინა | 1.8 | 2.0 |
| 14140 | კიევო-ლაციო | 1.8 | 2.0 |
| 14141 | პალერმო-ლეჩე | 1.45 | 2.4 |
| 14142 | რომა-ლივორნო | 1.3 | 2.5 |
| 14143 | სამპდორია-რეჯინა | 1.65 | 2.3 |
| 14144 | ატალანტა-ბოლონია | 1.95 | 1.85 |
| 14145 | პარმა-ბრეშა | 1.7 | 2.2 |
| 14177 | რეალი-ბილბაო | 1.3 | 2.5 |
| 14179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.7 | 2.2 |
| 14180 | მალაგა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14181 | ბეტისი-დეპორტივო | 1.75 | 2.1 |
| 14182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.08 | 2.9 |
| 14184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.45 | 2.4 |
| 14185 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14186 | სოსიედადი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 14187 | რასინგი-ვალენსია | 2.1 | 1.75 |
| 14188 | ლევანტე-სარაგოსა | 1.75 | 2.1 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | მანცი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | ჰამბურგი-ლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | შტუტგარტი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15135 | მესინა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15136 | მილანი-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15138 | უდინეზე-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15139 | სიენა-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15140 | კიევო-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15141 | პალერმო-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15142 | რომა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15143 | სამპდორია-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15144 | ატალანტა-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15145 | პარმა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15177 | რეალი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15180 | მალაგა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15181 | ბეტისი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15182 | ბარსელონა-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15184 | ალბასეტე-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15185 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15186 | სოსიედადი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15187 | რასინგი-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15188 | ლევანტე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.55 |
| 12078 | მანცი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 2.2 | 1.5 |
| 12083 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2.2 | 1.5 |
| 12084 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.0 | 1.6 |
| 12085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.9 | 1.7 |
| 12086 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.9 | 1.7 |
| 12135 | მესინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12136 | მილანი-კალიარი | 2.0 | 1.6 |
| 12138 | უდინეზე-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 12139 | სიენა-ფიორენტინა | 1.6 | 2.0 |
| 12140 | კიევო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12141 | პალერმო-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12142 | რომა-ლივორნო | 2.0 | 1.6 |
| 12143 | სამპდორია-რეჯინა | 1.6 | 2.0 |
| 12144 | ატალანტა-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12145 | პარმა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 12177 | რეალი-ბილბაო | 2.0 | 1.6 |
| 12179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 12180 | მალაგა-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |
| 12181 | ბეტისი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12182 | ბარსელონა-მალიორკა | 2.0 | 1.6 |
| 12184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.6 | 2.0 |
| 12185 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12186 | სოსიედადი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12187 | რასინგი-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12188 | ლევანტე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 16078 | მანცი-არმინია | 1.5 | 2.2 |
| 16079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.12 | 4.1 |
| 16081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.3 | 2.7 |
| 16082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.2 | 3.4 |
| 16083 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 3.0 |
| 16084 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.1 | 1.5 |
| 16085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.8 | 1.75 |
| 16086 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.45 | 2.3 |
| 16135 | მესინა-იუვენტუსი | 3.0 | 1.2 |
| 16136 | მილანი-კალიარი | 1.05 | 5.3 |
| 16138 | უდინეზე-ინტერი | 2.0 | 1.55 |
| 16139 | სიენა-ფიორენტინა | 1.55 | 2.0 |
| 16140 | კიევო-ლაციო | 1.5 | 2.1 |
| 16141 | პალერმო-ლეჩე | 1.25 | 3.0 |
| 16142 | რომა-ლივორნო | 1.13 | 4.3 |
| 16143 | სამპდორია-რეჯინა | 1.3 | 2.8 |
| 16144 | ატალანტა-ბოლონია | 1.9 | 1.6 |
| 16145 | პარმა-ბრეშა | 1.3 | 2.8 |
| 16177 | რეალი-ბილბაო | 1.1 | 4.5 |
| 16179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.35 | 2.5 |
| 16180 | მალაგა-ესპანიოლი | 1.6 | 1.9 |
| 16181 | ბეტისი-დეპორტივო | 1.5 | 2.2 |
| 16182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.03 | 6.5 |
| 16184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.25 | 3.2 |
| 16185 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.5 | 2.2 |
| 16186 | სოსიედადი-სევილია | 1.6 | 1.9 |
| 16187 | რასინგი-ვალენსია | 2.2 | 1.45 |
| 16188 | ლევანტე-სარაგოსა | 1.5 | 2.2 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17077 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 19078 | მანცი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17086 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17135 | მესინა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | მილანი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | უდინეზე-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | სიენა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17140 | კიევო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17141 | პალერმო-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17142 | რომა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17143 | სამპდორია-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ატალანტა-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17145 | პარმა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17177 | რეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17180 | მალაგა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ბეტისი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.9 | 1.9 |
| 17184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17186 | სოსიედადი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17187 | რასინგი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17188 | ლევანტე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

საქართველოს ჩემპიონატი

# დაიშალა, ჩაიშალა!

## განათლების რეფორმამ თსუ უფორმოდ დატოვა



„დინამომ“ „სტუ-ჯეოსელს“ ბურთი ვერ გადაატარა

**ირაკლი პერტაია**

**გუშინ** ვერის ბაღში სამი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო მხოლოდ ერთი, „დინამო“ — „სტუ-ჯეოსელი“ შედგა. ლიდერთა შეხვედრა ერთობ საინტერესო გამოდგა, თუმცა, ვფიქრობთ, თსუ — „ავიამშენის“ ჩაშლის მიზეზი უფრო მნიშვნელოვანია ქართული კალათბურთისთვის და ჩვენც ამით დავიწყოთ.

თუმც რაღა დაწყება უნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის დაშლის პროცესი კარგა ხანია მიმდინარეობს და გუშინ ეს ფაქტი თითქმის დაფიქსირდა კიდეც. თსუ სრული შემადგენლობით მოვიდა ვერის ბაღში, მაგრამ მოედანზე არ გავიდა, რის გამოც 0:20 წაგება ჩაეთვალა და 1 000 დოლარით დაჯარიმდა.

დაახლოებით ესეთი რამ სტუდენტებმა ორიოდ თვის წინაც გააკეთეს, მაგრამ მაშინ პროტესტის ნიშნად მხოლოდ რამდენიმე წამყვანმა კალათბურთელმა არ ითამაშა. ის ქმედება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის უყურადღებობამ გამოიწვია — საკალათბურთო გუნდს ყურადღებას არავინ აქცევდა და მწვრთნელ-მოთამაშეებს ხელფასების ნაცვლად გაუთავებელი დაპირებებით ჰკვებავდა.

რექტორი დაინიშნოს, სპონსორი გამოჩნდეს, ესაო, ისაო, — ბოლო არ უჩანდა „ცოდნის ტაძრის“ მესვეურთა დაპირებებს. უნივერსიტეტს უკვე კარგა ხანია, ჰყავს რექტორი, მაგრამ კალათბურთელებს არათუ ხელფასი, სათამაშო მაისურებიც არ მიუღიათ.

რაც გუშინ თსუ-მ განახორციელა, არ იყო პროტესტი. „ჩვენი გუნდი დაშლილია და თამაშზეც ამიტომ არ გავედით — თქვა გუნდის მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა — უნივერსიტეტმა დანაპირები ვერ შეასრულა, ელემენტარული პირობები არ დაგვიკმაყოფილა და მე ვერავის ვაიძულებ, მოედანზე გასვლას. არადა, ბევრს კი არ ვითხოვთ, ფორმის და მგზავრობის ფული მოგვცენ, ვარჯიშებზე რომ იარონ ბიჭებმა.“

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დანაპირებს, ცოტაც მაცადეთ და ფულს მოგცემთო, ვერ შეასრულებდა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო, უფრო სწორად, საგანმანათლებლო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. რეფორმებიდან ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ უნივერსიტეტი პროფესიულ გუნდებს სპონსორის გარეშე ველარ შეინახავს...

„განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ პირდაპირ თქვა, სახელმწიფო სასწავლებლების ბიუჯეტიდან ამავე სასწავლებლის სპორტული გუნდები ვერ დაფინანსდებაო — ამბობს გია ჯავახიშვილი — თუ სპონსორს ვერ იშოვით, კაპიკს ვერ მიიღებთო, გვითხრეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა. ისინი უარზე არ არიან, იყოლიონ საკალათბურთო გუნდი, მაგრამ უბრალოდ, კანონი აღარ აძლევთ იმის საშუალებას, ხელფასი გვიხადონ. დამფინანსებელი თუ ვიშოვეთ, თსუ რაღაში გვჭირდება, დავირქმევთ იმ სპონსორის სახელს და ეგაა.“

როგორც ჩანს, თსუ-ს სპონსორობის მოსურნე „კოკა-კოლას“ საქმეც ჩაფლავდა. ამ კომპანიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე თავისი პროდუქციით ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება სურდა და სანაცვლოდ თსუ-ს საკალათბურთო გუნდის სპონსორობაზე ყაბულს იყო. ამაზე კარგა ხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და რაკი თსუ ფაქტობრივად დაიშალა, თავისთავად ეს გარიგებაც არ შედგა.

დღეს თსუ ფედერაციაშია დაბარებული, პრესკონფერენცია უნდა მოეწყოს ამ ექსტრემალურ ვითარებასთან დაკავშირებით. თუ თსუ საბოლოოდ დაიშლება, ეს იქნება კიდევ ერთი დიდი დანაკარგი ქართული კალათბურთისთვის „ბასკოს“ დაშლის შემდეგ. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ თითქმის იგივე სიტუაციაა რუსთაველ კლუბშიც, რომელსაც ვერც ქვემო ქართლის გუბერნატორისა და ვერც ქალაქის მერის ჩარევამ ვერ უშველა. სპონსორს რუსთაველებიც ეძებენ და თუ ამ თვეში ვერ იპოვეს, მათი ხელმძღვანელობის თქმით, გუნდი დაიშლება.

გუშინდელი დღის პირველი შეხვედრა „მაკაბი“ — სსუ კი იმიტომ გადაიდო, რომ მაკაბელთა ლიდერ გივი შავაძეს მამა გარდაეცვალა და მთელი გუნდი სამძიმარზე გახლდათ. სოხუმელთა თავკაცი ვაჟა კვარაცხელია წინაამდეგი არ წასულა და მატჩიც გადაიდო.

სამაგიეროდ, ჩატარდა გუშინდელი ტურის ცენტრალური მატჩი, რომელშიც სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა „ჯეოსელმა“ თბილისის „დინამო“ დაამარცხა. ამ გუნდების პირველი საამსეზონო შეხვედრა ტყუპოვერტაიმიანი გამოდგა და აქა-იქ ამ ჯერზეც დამატებით დროს ვარაუდობდნენ. თუმც მართალი ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი გამოდგა, რომელმაც წინასამატჩო პრესკონფერენციაზე თქვა, დიდი ანგარიშით მოვიგებთ ან დავმარცხდებითო.

„სტუ-ჯეოსელმა“ 12 ქულით იმარჯვა, მაგრამ პირველ ტაიმში საქმე ისე იყო, ყველაფერი ოვერტაიმისკენ თუ არა, დაძაბული ფინალისკენ მიდიოდა. დინამოელთა თავდაპირველი აფეთქების (20:7) შემდეგ სტუდენტებმა თამაში გამოასწორებს და კარგა ხანს ანგარიში თანაბრად იზრდებოდა.

„დინამომ“ თავისი მთავარი იარაღი, სისწრაფე „მოიმარჯვა“ და გაუმართლა. ლაშა გამყრელიძე და შიო ხეცურიანი ტექნიკოსთათვის მოუხელთებელნი იყვნენ. თან დინამოელები შორიდანაც ხეირობდნენ და დასაწყისში 13-ქულიან უპირატესობაც ამის წყალობით მოიპოვეს. ნუგზარ ჭეიშვილმა საქმის გამოსწორება დაცვის გაძლიერებით განიზრახა, მოედნიდან სნაიპერი გიორგი მარკოიშვილი გაიხმო და შედარებით დაცვასა და კონტრშეტევებზე ორიენტირებული ზვიად მიქაძე შეუშვა. მიქაძემ თავად ვერ ჩაყარა ბურთები, მაგრამ დაცვაში ყოჩაღობდა და ბურთიც სწრაფად გადაჰქონდა მეტოქის ნახევარზე. იქ კი გამოცდილმა რამაზ გოგობერიშვილმა ითავა წინამძღოლობა, სამი სამქულიანი ჩააგდო და სტუ საწყის მეოთხედშივე დააწინაურა — 24:23.

მეორე ათწუთეული შედარებით თანაბარი იყო, აი, მესამეში კი დავით ბერიშვილმა გამართა ხელი და შორიდან იმდენი ჩააგდო, ტექნიკოსებს დარჩენილ დროში აღარ გასჭირვებიათ. სტუდენტობამ საიმედოდ გადაკეტა საკუთარ ფარზე მისასვლელი გზები და შეტევაში ბერიშვილის სამქულიანებით სულდგმულობდა — შედეგად 63:51 დაწინაურდა, გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე კი 7 ქულით იგებდა.

„დინამომაც“ შორი სროლებით სცადა საქმის შეტრიალება და თავიდან ეს მშვენივრად გამოუვიდა. ჩხატარაშვილმა ორჯერ ჩააგდო, ხეცურიანმაც იყოჩაღა და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე სტუ ორ ქულასღა იგებდა — 70:68. აქ ისევ დავით ბერიშვილმა იყოჩაღა, რომელმაც დაცვაშიც იჩაუქა და თითქმის ყველაფერში აჯობა დინამოელთა გამთამაშებელ ლაშა გამყრელიძეს. ტყუპისცალმა ერთი ჩაჭრა, ორი, სამქულიანი ჩააგდო და სტუ-ს სოლიდური უპირატესობა აღსდგა — 78:71 სირენამდე ორწუთნახევრით ადრე. „დინამომ“ თამაშის დასრულებამდე ბარე 15 სამქულიანი ისროლა, მაგრამ ეს წასაგებად განწირული გუნდის წვალებას უფრო ჰგავდა.

17 თებერვალი. ვერის ბაღი

**სტუ 83:71 დინამო**

24:23 21:19 20:16 18:13

**სტუ:** დ. ბერიშვილი (26), გოგობერიშვილი (12), მარკოიშვილი (12), შანიძე (16), ჯაფარიძე (10); კეკელიძე (5), მათიაშვილი (2), მიქაძე, გაგნიძე
**დინამო:** გამყრელიძე (12), ხეცურიანი (11), ლაფანაშვილი (12), ჩხატარაშვილი (16), კილაძე (7); სუხიშვილი (10), ბ. ბერიშვილი (3)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ავიამშენი 20:0 თსუ**

თსუ არ გამოცხადდა

**სსუ — მაკაბი** გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 17 | 15 | 2 | +313 | 32 |
| დინამო | 18 | 14 | 4 | +368 | 32 |
| ავიამშენი | 17 | 14 | 3 | +363 | 31 |
| თსუ | 18 | 10 | 8 | -178 | 27 |
| თუჯი | 18 | 9 | 9 | +93 | 27 |
| მაკაბი | 17 | 4 | 13 | -345 | 21 |
| ბურჯი | 16 | 2 | 14 | -268 | 18 |
| სსუ | 17 | 1 | 16 | -582 | 18 |

NBA
რეგულარული ჩემპიონატი

16 თებერვალი

**ნიუ იორკი 108:90 მილუოკი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (14), კროუფორდი (23), ტ. ტომასი (11), კ. ტომასი (16 ქულა, 10 მოხსნა), მუჰამედი (4); სვიტნი (18), ჰარდევეი (14), უილიამსი (6), ნორისი (2), არიზა
**მილუოკი:** უილიამსი (10), მეისონი (18), კუკოჩი (20), სმიტი (12), გაძურიჩი (12); ჯეიმსი (9), ვან ჰორნი (4), **ფაჩულია** (15 წუთი, 3 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა), სანტიაგო (2)

**შარლოტი 94:88 დენვერი**

**შარლოტი:** რაში (20), ბოგანსი (18), ელი (15)
**დენვერი:** ენტონი (21), მარტინი (17), ბოიკინსი (16), კემბი (12 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ინდიანა 95:87 პორტლენდი**

**ინდიანა:** მილერი (36), ფოსტერი (14 ქულა, 17 მოხსნა)
**პორტლენდი:** პრჟიბილა (13 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება), მაილზი (18), ვან ექსელი (16)

**ტორონტო 115:121 ჩიკაგო**

**ტორონტო:** ბოში (28), როუზი (25), ალსტონი (21), მარშალი (17), პიტერსონი (16)
**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (28), კარი (25), დენგი (20), გორდონი (17)

**ნიუ ორლეანი 78:101 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი:** სმიტი (25)
**სან ანტონიო:** დანკანი (19)

**კლივლენდი 111:89 ატლანტა**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (28), გუდენი (19 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (18 ქულა, 13 მოხსნა)
**ატლანტა:** უოლკერი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი 90:88 მემფისი**

**ბოსტონი:** პირსი (19), ალენი (15)
**მემფისი:** სვიფტი (19), კარდინალი (17)

**ფილადელფია 75:93 დეტროიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (23)
**დეტროიტი:** ბილაფსი (20), ჰამილტონი (20), პრინსი (15)

**ნიუ ჯერსი 96:85 საკრამენტო**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (21), კიდი (19 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), კრსტიჩი (18)
**საკრამენტო:** ბიბი (25), მობლი (16)

**მაიამი 113:95 კლიპერსი**

**მაიამი:** დ. ჯონსი (31), უეიდი (28 ქულა, 12 პასი, 4 დაფარება), ონილი (14)
**კლიპერსი:** მეჯიტი (23), ბრენდი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**სიეტლი 110:117 გოლდენ სტეიტი**

**სიეტლი:** ალენი (26), დანიელსი (19), ლუისი (17), კოლისონი (16 ქულა, 12 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (30), ფიშერი (21), კლაქსტონი (17 ქულა, 11 პასი), დევისი (16 ქულა, 10 მოხსნა)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 27 | 26 | 50,9 |
| ფილადელფია | 26 | 27 | 49,1 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 30 | 43,4 |
| ტორონტო | 21 | 32 | 39,6 |
| ნიუ იორკი | 21 | 32 | 39,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 32 | 19 | 62,7 |
| კლივლენდი | 30 | 20 | 60,0 |
| ჩიკაგო | 26 | 23 | 53,1 |
| ინდიანა | 25 | 26 | 49,0 |
| მილუოკი | 20 | 30 | 40,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 40 | 14 | 74,1 |
| ვაშინგტონი | 30 | 22 | 57,7 |
| ორლანდო | 28 | 24 | 53,8 |
| შარლოტი | 11 | 39 | 22,0 |
| ატლანტა | 10 | 41 | 19,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 41 | 12 | 77,4 |
| დალასი | 34 | 16 | 68,0 |
| ჰიუსტონი | 32 | 21 | 60,4 |
| მემფისი | 30 | 23 | 56,6 |
| ნიუ ორლეანი | 11 | 42 | 20,8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 35 | 15 | 70,0 |
| მინესოტა | 26 | 27 | 49,1 |
| დენვერი | 24 | 29 | 45,3 |
| პორტლენდი | 21 | 30 | 41,2 |
| იუტა | 17 | 35 | 32,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 41 | 12 | 77,4 |
| საკრამენტო | 33 | 20 | 62,3 |
| ლეიკერსი | 26 | 24 | 52,0 |
| კლიპერსი | 23 | 30 | 43,4 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 38 | 28,3 |



# ლადო ჩიხლაძემ ზალცბურგი დაიპყრო... 

**საქართველოს** სადევისთასო ნაკრების 18 წლის წევრი ლადო ჩიხლაძე 2005 წლის სეზონს წარმატებით იწყებს. ავსტრიაში მოვარჯი-შე ჩვენებურის წლევანდელ ტურნირებზე არაფერი ვიცოდით, როცა ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე სასიამოვნო ინფორმაციას წავაწყდით. აი, ისიც:

2005 წლის 7-13 თებერვალს ავსტრიის ქალაქმა ზალცბურგმა 10 ათას დოლარიან ტურნირს უმასპინძლა. ლადომ საკვალიფიკაციო ეტაპით და-იწყო და პოლონელი, ლუქსემბურგელი და ავსტრიელი მეტოქეების ძლე-ვის შემდეგ ძირითად ბადეშიც შეაბიჯა.

პირველ წრეში თავისსავით კვალიფიკაციაგავლილ მასპინძელს 6:4, 7:5 აჯობა, გერმანელ იოჰანეს მაჩკეს კი ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო — 6:1, 6:2 და მეოთხედფინალში გავიდა. ჩემპიონობამდე დარჩე-ნილ სამ შეხვედრაში ქართველს უკვე სამ-სამი სეტი დასჭირდა, თუმცა სამივეჯერ იმარჯვა და იჩემპიონა. ლადო ჩიხლაძემ იტალიელ მარკო პედრინის 3:6, 7:5, 6:1 სძლია, გერმანელ ლარს უებელს 7:6, 1:6, 6:2, ხოლო სლოვაკ ბოსტიან ოსაბნიკს 2:6, 7:6, 7:6.

**ოთარ გალლაძელიძე**



# ზვიადაურმა მუხლს არ ჩაუმუხლა

ეს დღეები ოლიმპიურმა ჩემპიო-ნმა ზურაბ ზვიადაურმა „არამიანცის" საავადმყოფოში გაატარა. მარცხენა მუხლის ტრავმას აქამდეც არაე-რთხელ შეუწუხებია, ორი კვირის წინ გამართულ პარიზის ტურნირზე კი ისე გაურთულდა, მენისკის ოპე-რაცია გარდაუვალი გახდა. თბილისში დაბრუნებული ზვიადაური საოპერა-ციო მაგიდაზე გუშინწინ დააწვინეს და დღეს უკვე შინ გაუშვებენ.

„ოპერაცია ზურაბ ავაზაშვილმა და სანდრო დარახველიძემ ჩაატა-რეს — გვითხრა გუშინ ოლიმპიუ-რი გუნდის მთავარმა ექიმმა ზუ-რაბ კახაბრიშვილმა — ოპერაცია-მდე დასმული დიაგნოზით ზურას მენისკი ჰქონდა გაწყვეტილი, თუ-მცა უშუალოდ ოპერაციისას ჯვა-რედინი იოგებიც დაზიანებული აღ-მოჩნდა. საბედნიეროდ იგი მხოლოდ დაჭიმული იყო და ზედმეტ გართ-ულებას აღარ უნდა ველოდოთ. ასე რომ, უკვე ყველაფერი კარგადაა. ახლა რამდენიმე დღეს შინ გაა-ტარებს, ორშაბათს კი ძაფებს ამო-უღებენ და აღდგენით ვარჯიშსაც დაიწყებს."



კახაბრიშვილივეს თქმით ოპერა-ციისა და მკურნალობის მთელი ხა-რჯები თავის თავზე სადაზღვევო კომპანიამ „ალდაგმა" აიღო, რომე-ლიც ათენის ოლიმპიადის მედალო-სანთა სპონსორია.

ექიმის დარად, საკმაოდ იმედ-იანადაა თავად ზვიადაურიც. რო-გორც მეუბნებიან, ტატამს მალე და-ვუბრუნდები, ალბათ გაზაფხულის ბოლომდე ფორმაში ჩადგომასაც მო-ვასწრებ და ივნისში ევროპის საკ-ლუბო ჩემპიონატის პირველ წრეში „საგარეჯოს" დავეხმარებიო.

ივნისამდე საერთაშორისო კალე-ნდარში შეტანილი ტურნირებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპის ჩე-მპიონატია (2-3 აპრილს, როტერდა-მში ჩატარდება). თუმც იქ ჭიდაო-ბას ოლიმპიური ჩემპიონი ისედაც არ აპირებდა. შოთა ხაბარელის გა-დაწყვეტილებით, წლეულს მთავარი სამიზნე შემოდგომაზე ეგვიპტეში, კა-იროში გასამართი ევროპის ჩემპიო-ნატია. მანამდე კი ზვიადაური ჩვეუ-ლი ფორმის აღდგენას აუცილებლად მოასწრებს.

**ოთარ გალლაძელიძე**



# ფედერერმა ბოლმა თოვლს გაატანა



როჯერ ფედერერი

**მემფისის საერთაშორისო ტურნირი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 665 ათასი $**

**პირველი წრე**

**ტომი ჰაასი (2, გერმანია) — ჯეფ სალცენშტაინი (აშშ) 6:4 6:4**

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 6:3**

**PROXIMUS DIAMOND GAMES**
**ანტვერპენი. დეკობუსნო**
**საპრიზო 585 ათასი $**

**პირველი წრე**

**ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:4 6:7 (10:12) 6:3**

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:3 6:0; კიმ კლაისტერსი (ბელგია) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) 7:5 6:7 (3:7) 6:1; პატი შნიდერი (7, შვეიცარია) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:3 4:6 6:1**

ხანგრძლივი უქმობის შემდეგ მო-ბრუნებულმა კიმ კლაისტერსმა ბრიუსელობის მეორე წრეში კი-დევ უფრო დიდი ლლავი დაიჭირა გარდერობივით ნადია პეტროვას სა-ხით. პეტროვა ორი სეტის განმავ-ლობაში ტოლსწორად ეპაექრა მა-რცხენამაჯამოკეთებულ ბელგიელს, მაგრამ გადამწყვეტ სეტში ჩაყვი-ნთა და უბრძოლველად ჩაბარდა. გაივაკა ტურნირის ორგზის (2002-03) ჩემპიონმა ვინუს უილიამსმა, რომელიც — უკეთუ წელსაც იმა-რჯვებს — ოქრობრილიანტებით მოოჭვილ ჩოგანს დაეუფლება. უფ-როსმა უილიამსდამ უპრობლემოდ დალახვრა ფრანგი ვირჟინი რაზანო და ნამატჩევს ნამეტურად კმაყო-ფილობდა — ჯანზეც ვარ და ხო-შიანადაც მებურთავებინებაო. გუ-შგვიანდელ მეოთხედფინალში — სხვათა შორის — ვინუსი სწო-რედ ბუთქუნა კიმს უნდა დაპირი-სპირებოდა.

**WORLD TENNIS TOURNAMENT**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 765 ათასი ევრო**

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ბოლდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3 6:4; იოახიმ იოჰანსონი (5, შვედეთი) — იე-ძუ ვანი (ტაივანი) 6:2 6:7 (2:7) 6:3; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 7:6 (7:5) 6:2**

**მეორე წრე**

**პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) — გილერმო კორია (2, არგენტინა) 2:6 7:6 (7:2) 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 7:6 (10:8) 6:0; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:4 6:7 (6:8) 6:3**

ავსტრალიობის ნახევარფინალში მარატ საფინისგან უმძაფრეს შეხ-ლაში ძლეულმა როჯერ ფედერე-რმა მწარე მარცხი როგორც იქნა მოინელა და დიდ კორტზე გამარ-ჯვებით დაბრუნდა. ბოლო 16 თვის განმავლობაში მხოლოდ 7 მატჩის წამგებმა შვეიცარიელმა ჩეხი ული-რახის ოტებას საათზე ცამეტი წუ-თით მეტი მოანდომა. ნამატჩევს ის ირწმუნებოდა, რომ თავს კვლავაც მშვიდად და დაჯერებულად გრძნობს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ პირველი სეტის ბოლო გეი-მში მან ერთბაშად ექვსი სეტბუ-რთის გამოყენება ვერ შეძლო. სხ-ვაფრივ კი ფედერერმა საფინთან წაგებაზეც ისაუბრა და გამოტყდა, რომ საფინისა და ჰიუიტის მელ-ბურნული ფინალი საერთოდაც არ უნახავს. წაგებულს თურმე პირ-დაპირ შვეიცარიაში გაუტევია და იქ თავისგოგო მიროსლავა ვავრი-ნეჩთან ერთად თხილამურობისთვის გაუტანებია გულში ჩაზვავებული ბოლმა და ბალღამი. ისე კი შეგახ-სენებთ, რომ შარშან ჯამში თე-რთმეტ ტურნირზე გამარჯვებულ ფედერერს როტერდამში არ უტი-ტულია და ამიტომაც იქ უფრო გალაღებული უნდა იყოს, ვიდრე სხვაგან, სადაც შარშან მოხვეჭი-ლის დაცვა მოუწევს.

რაც შეეხება დანარჩენ მატჩებს, ისევ რიგიანად გაირჯა და მორიგი გამარჯვება მიითვალა წლეულს უკვე ორგზის ტიტულოსანმა იოახიმ იოჰ-ანსონმა, რომელიც ამ კვირაში პირ-ველად აღზევდა რეიტინგსიის ზე-თეულში და ამით ცამეტი თვის წინ 150-ე ადგილიდან დაწყებული აღმა-სვლა შთამბეჭდავად მოიგვირისტა. ამ ჯერზე კორტის დონიდან მეტ-რისა და 98 სანტიმეტრის ამთვლე-ლმა სკანდინავმა ჭუპურა ტაივანე-ლი ვანი დაიმორჩილა, თუმცა ვერც ისე, რომ სეტი არ დაეთმო.

აი, მეორე ნომრად განთესილ გი-ლერმო კორიას კი ჩოგანი ნაცა-რში ჩაუვარდა. მან ევროპულ ჭე-რქვეშა ტურნირებზე საბუქნაოდ მშობლიურ ტროპიკეთში თიხნარო-ბას უგანა და ჯერ-ჯერობით ხვიშტს ჯერდება — მარსელში პი-რველი წრიდანვე გამოვარდა, რო-ტერდამში კი ის მეორიდან განაძო ნიჭიერმა, მაგრამ არასტაბილურმა შრიჩაფანმა.

**ლევან ძელაურაძე**

# ყინულის სამეფოში პოლარული ღამე ჩამოწვა
# სეზონი ჩაიშალა

მორჩა! 16 თებერვალს, აშშ-ს დროით 1 საათზე (ჩვენით კი საღამოს 9 საათზე) ნჰლ-ს კომისიონერმა გერი ბეტმენმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ოფიციალურად განაცხადა, რომ 2004-05 წლის სეზონი გაუქმდა. ასე ჩაქრა ქომაგთა გულებში პაწაწა ნაპერწკალიც... ამერიკული პროფესიული სპორტის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ერთ-ერთი ლიგა ვერ ატარებს სეზონს და ეს „პატივი“ ნჰლ-ს ერგო



...როგორც კი გერი ბეტმენი პრესკონფერენციის დარბაზში შევიდა, ყველაფერი ნათელი გახდა. ლიგის კომისიონერი ისე საცოდავად გამოიყურებოდა, ისე მოკუნტულიყო, თითქოს მთელი სამყაროს პრობლემები დასწოლოდა ზურგზე. ძლივს დაიწყო ლაპარაკი და მთელი გამოსვლის განმავლობაში ვერ მოთოკა ემოციები.

„თითოეული ჩვენგანისთვის სამწუხარო და დასანანი დღეა. ალბათ ყველა ისურვებდა, რომ რამენაირად თავი აერიდებინა ამისთვის, მაგრამ ჩემი მოვალეობაა, თქვენს წინაშე გამოვიდე და განვაცხადო, რომ ამიერიდან შემოკლებული სეზონის ჩატარებამაც დაკარგა აზრი. ამიტომაც 2004-2005 წლების ჩემპიონატს გაუქმებულად ვაცხადებ“ — ლიგის კომისიონერის ამ სიტყვებმა განაჩენივით გაიჟღერა. შემდეგ ბეტმენმა დიდი ბოდიში მოიხადა ქომაგთა წინაშე და ეს ძალიან გულითადად გამოუვიდა — აშკარად ჩანდა, რომ ლიგის მთავარი მოხელე ძალიან განიცდიდა იმას, რაც მოხდა. ამ პრესკონფერენციამ აშკარად ცხადყო, რომ ბეტმენმა გულთან ახლოს მიიტანა შექმნილი სიტუაცია და ის სულაც არ პოზიორობდა, როცა ბოლო ხანებში არაერთხელ თქვა, მეტი დათმობა ლიგის მხრიდან შეუძლებელიაო. მისმა ამგვარმა გამოსვლამ თითქოს გააფერმკრთალა ის ანტიპათია, რასაც ჰოკეის ქომაგები გრძნობდნენ მის მიმართ ამ გაჭიანურებული მოლაპარაკებების პერიოდში.

ყველაზე დასანანი კი ალბათ ისაა, რომ წინა დღეებში მოლაპარაკებაში აშკარა პროგრესი შეიმჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორშაბათის შემდეგ მხარეების შეხვედრა არ შედგა, ისინი ბოლო მომენტამდე წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს და ლამის მიაღწიეს კიდეც კომპრომისს. ლიგამ უარი თქვა ეგრეთ წოდებულ LINKAGE-ზე, ანუ ნჰლ-ის შემოსავლების და მოთამაშეთა ხელფასების მყარ დამოკიდებულებაზე, ხოლო პროფკავშირმა მიიღო ოპონენტთა წინადადება ხელფასების ზღვარის შესახებ. მეტიც, ბეტმენის გამოსვლამდე დარჩენილ ბოლო საათებში ნჰლ-ამ „ჭერი“ 42,5 მილიონ დოლარამდე აწია, ხოლო ასოციაციამ 49-მდე შეამცირა (შეგახსენებთ, რომ მანამდე ლაპარაკი შესაბამისად 40 და 52 მილიონზე იყო). მაგრამ დარჩენილი 6,5 მილიონიანი სხვაობა გადაულახავ ბარიერად დარჩა და პესიმისტური პროგნოზი გამართლა. რას იზამ, 6,5 მილიონი 30-ზე (ლიგის გუნდების რაოდენობა) რომ გავამრავლოთ, ლამის 200 მილიონი გამოდის, ეს კი, ბეტმენის თქმით, ზედმეტად დიდი მსხვერპლია, ვინაიდან თავისი ბოლო პროექტის შესაბამისად, ნჰლ ისედაც ზარალში რჩებოდა მომდევნო ორი წლის განმავლობაში, თუმც სეზონის გადასარჩენად ლიგა მიდიოდა ამ დათმობაზე.

გამოსვლის შემდეგ კი ბეტმენს ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა. ნჰლ-ის კომისიონერმა დიდი იმედი გამოთქვა, რომ 2005-06 წლების სეზონიც არ გაიზიარებს წინამორბედის ბედს, ვინაიდან მოლაპარაკებები უკვე ახლო მომავალში უნდა გაგრძელდეს. „იმედია, ასეთი სევდიანი დღის შემდეგ ჩვენი ოპონენტები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ მკაფიო ეკონომიკური სისტემა, რომელიც ჰოკეის აყვავებას უზრუნველყოფს. თუ ყელანი — ფუნქციონირები, მოთამაშეები და ქომაგები — ერთმანეთთან ისე ვითანამშრომლებთ, როგორც პარტნიორები, ჰოკეის ბრწყინვალე მომავალი ექნება“ — თქვა დასასრულს ბეტმენმა.

ალბათ აქ შეგვეძლო, წერტილი დაგვესვა, რომ არა ერთი უცნაური გარემოება. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბეტმენს ჰკითხა, რა იქნება, თუ პროფკავშირი დათანხმდება თქვენს პირობებზეო. კომისიონერის პასუხი კი ასეთი იყო: „თუ უახლოეს 24 საათში ასოციაცია ყველა ჩვენს პირობას უსიტყვოდ მიიღებს, შესაძლოა, კიდევ გამოიძებნოს კომპრომისი.“

ამრიგად, ბეტმენმა მაინც დაუტოვა ოპონენტებს შერიგების მცირე შანსი, მით უმეტეს, რომ ამავე დღეს, სულ რაღაც 5 საათის შემდეგ, ასოციაციის პრესკონფერენცია იყო დაგეგმილი. მაგრამ ნჰლპა-ს შეფმა ბობ გუდენაუმ და [illegible] ნიამ ეს შანსი იქნებ არც [illegible] ნოს. პროფკავშირის ბოსებმა პრესკონფერენციას ბლიც-ინტერვიუ ამჯობინეს. გუდენაუს თქმით, თავისი ულტიმატუმებით და მუქარით ბეტმენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ასოციაციას მოლაპარაკებაზე ჭეშმარიტი პარტნიორი არ ჰყავდა. ნჰლპა-ს პრეზიდენტმა ტრევორ ლინდენმა კი დიდი სინანული გამოთქვა მომხდარის გამო — „ეს უდიდესი ზარალია ორივე მხარისთვის. ჩვენ უკვე სწორ გზაზე ვიდექით და შესაძლოა, მოვაწყვლით კიდეც შეთანხმებას. ახლა შეგრძნება მაქვს, თითქოს ბეტმენმა ფეხქვეშ ხალიჩა გამოგვაცალა“ — როგორც ჩანს, ლინდენი ასეთ ფინალს არ ელოდა.

ბეტმენის გამოსვლამ, ბუნებრივია, დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჰოკეის საზოგადოებაში. უამრავ კომენტარიდან ყველაზე საინტერესო მოსაზრებას გაგაცნობთ „ნიუ ჯერსის“ ფორვარდ ჯონ მედენის თქმით, ყველაზე საშიში არა ამ სეზონის გაუქმებაა, არამედ ის, რომ ამიერიდან სიტუაცია უმართავი და აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი ხდება. „გაუგებარია, რა იქნება ამის შემდეგ. ლიგა სხვა, შემცვლელ ჰოკეისტებს გამოიყენებს თუ ზოგი ჰოკეისტი პროფკავშირს დატოვებს და ნჰლ-ს მხარეზე გადავა. ან იქნებ ხანგრძლივი სასამართლო დავა დაიწყოს... ეს არავინ იცის“ — გულახდილად აღიარა მედენმა.

სიმართლე გითხრათ, არც ჩვენ ვიცით, რა მოჰყვება ყოველივე იმას, რაც 16 თებერვალს მოხდა. ერთი ცხადია, ასეთი შავი დღე ლიგის ისტორიას ჯერ არ ახსოვს.

**სამველ ლარიბიანი**



# ქარავანი შეივსო
## რაიკონენი ტესტებიდან მოხსნეს

წლევანდელ ოცკაცა საფორმულო ქარავანში ბოლო ვაკანსია შეივსო. „მინარდიმ“ ოფიციალურად დაასახელა გუნდის მეორე პილოტად ავსტრიელი პატრიკ ფრიზახერი. თავიდან 24 წლის ვოლფსბერგელის კანდიდატურა არც განიხილებოდა, საჯინიბოს ბოსობას შეგულებული ჰყავდა დანიელი ნიკოლას კიესა, რომელმაც 2003 წელს „მინარდის“ ბოლიდით ხუთჯერ ირბოლა.

მოგეხსენებათ, ამგვარი, არცთუვარსკვლავთდონის მძღოლები საჯინიბოში ადგილს ყიდულობენ ხელგაშლილ ბიზნესმენთა ფულშეწყობით. პატრიკ-ნიკოლას დუელიც ფულმა გადაწყვიტა — კიესამ, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საჭირო სპონსორული პაკეტი ვერ შეაგროვა და „სამეფო რბოლების“ გზა მის კონკურენტს გაეხსნა.

ფრიზახერი ბავშვობაში კარტს დააქროლებდა, 18-20 წლისა ფორმულა 3-ის სერიაში გამოდიოდა, ბოლო ოთხი სეზონი კი მნიშვნელობით მეორე, ფორმულა 3000-ის ჩემპიონატში გაატარა ალმავალი შედეგიანობით — 2002 წელს მეათე იყო, შემდეგ მეხუთე, ხოლო შარშან მეოთხე ადგილზე გავიდა.

ფორმულა 1-ის დამდეგი, რიგით 56-ე ჩემპიონატის შემადგენლობა გამოაცხადა „რედ ბულმაც“ (ყოფილი „იაგუარი“). კარგა ხნის წინ კოკპიტგანაღდებული დევიდ კულჰარდის მეწყვილეა ავსტრიელი კრისტიან კლიენი, „იაგუარის“ შარშანდელი პილოტი. თუმც იმასაც ამბობენ, კიდევ ერთი კანდიდატის, იტალიელ ვიტანტონიო ლიუცის საკითხი მაინც საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილიო.

ერთი სიტყვით, განაცხადების წარდგენის ბოლო დღემდე, 3 მარტამდე, შესაძლოა ცვლილება მოხდეს.

ამასობაში ესპანეთის თბილ ტრეკებზე სეზონისწინა ბოლო სატესტო სერია გრძელდება და არცთუ მშვიდობიანად. ერთი კვირის წინ ავარია შეემთხვათ ბარელებს, ტაკუმა სატოს და ჯენსონ ბატონს, თანაც „ტაკუს“ ორჯერ. განსაკუთრებით საშიში ჩანდა პირველი შემთხვევა, როცა იაპონელის მანქანას 300 კმ/სთ სიჩქარეზე უკანა ფრთა მოსძვრა და BAR-ი დამცავ ბარიერს მიეხეთქა. მრბოლი იქვე, ხერესის სამედიცინო ცენტრში გამოსაკვლევად გააქანეს და ერთდღიანი ბიულეტენიც გამოუწერეს.

გუშინწინ ბარსელონაში ვარჯიშისას ხიფათს გადაეყარა კიმი რაიკონენი. ფინელის „მაკლარენი“ მოულოდნელად ტრასაზე დაიზრიალდა და ძველ საბურავებში შევარდა. კიმის ხელის თითები დაუზიანდა და მცირე კონტუზიაც მიიღო. ექიმებმა რამდენიმე დღით საჭესთან დაჯდომა აუკრძალეს და შინ გაუშვეს ფიზიოთერაპიული კურსის ჩასატარებლად. ტესტებს მის ნაცვლად „მაკების“ ესპანელი სათადარიგო მძღოლი პედრო დე ლა როსა აგრძელებს.

**გია ახალაძე**



„მინარდიმ“ პატრიკ ფრიზახერი გაიფორმა

### 2005 წლის გუნდები და პილოტები

| გუნდი | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| ფერარი | მიხაელ შუმახერი | 36 | გერმანია |
| | რუბენს ბარიკელო | 32 | ბრაზილია |
| B.A.R-ჰონდა | ჯენსონ ბატონი | 25 | დიდი ბრიტანეთი |
| | ტაკუმა სატო | 28 | იაპონია |
| რენო | ფერნანდო ალონსო | 23 | ესპანეთი |
| | ჯანკარლო ფიზიკელა | 32 | იტალია |
| BMW-უილიამსი | მარკ ვებერი | 28 | ავსტრალია |
| | ნიკ ჰაიდფელდი | 27 | გერმანია |
| მაკლარენ-მერსედესი | კიმი რაიკონენი | 25 | ფინეთი |
| | ხუან-პაბლო მონტოია | 29 | კოლუმბია |
| ზაუბერ-პეტრონასი | ჟაკ ვილნევი | 33 | კანადა |
| | ფელიპე მასა | 23 | ბრაზილია |
| რედ ბულ-კოსუორტი | დევიდ კულჰარდი | 33 | დიდი ბრიტანეთი |
| | კრისტიან კლიენი | 22 | ავსტრია |
| ტოიოტა | რალფ შუმახერი | 29 | გერმანია |
| | იარნო ტრული | 30 | იტალია |
| ჟორდან-ტოიოტა | ნარაინ კარტიკეიანი | 28 | ინდოეთი |
| | ტიაგო მონტეირო | 28 | პორტუგალია |
| მინარდი-კოსუორტი | კრისტიან ალბერსი | 25 | ჰოლანდია |
| | პატრიკ ფრიზახერი | 24 | ავსტრია |

# ფყის პირად

ღვთისმშობლის პატარა სამლოცველო კოხტად გადასცქერის თხილამურობის შეჯიბრთა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს. კარგი ადგილია ეს ობერსდორფი, თოვლიც უხდება და თხილამურებიც. თუმცა, თოვლი იმხელა მოვიდა, რომ საქმის მოწესრიგებაში გერმანიის არმიაც კი ჩაერია და დათოვლილ ტრამპლინებს თავისი გამრჯე ხელი დაატყო.



REUTERS ობერსდორფიდან







REUTERS სტოკჰოლმიდან

# ახლა ნაგანოსკენ

ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშები იაპონურ ნაგანოში გაიმართება. თამაშებში 86 ქვეყნის 1900 ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლის მქონე სპორტსმენი ჩაებმება. ჰოდა, ოლიმპიური ცეცხლიც ათენიდან იქით მიეშურება. თამაშები 26 თებერვალს გაიხსნება.



REUTERS ნაგანოდან

# ტეაჰუპუს გვირაბები

ტალღათა გვირაბში გავლა სულაც არ არის უცხო იმათთვის, ვინც ახლა ტაიტიზე ტეაჰუპუს წყლებში სერფაობს. ეს კაცი კი გამორჩეული ვინმეა — ავსტრალიელი მარკ ოჩილუპო წლეულს დიდ სერფს თავს ანებებს და სურს, გამორჩეული სეზონი ჰქონდეს.



REUTERS ტაიტიდან

# ოპაა...

იაროსლავ რიბაკოვი ხარობს. რუსმა წლის საუკეთესო შედეგი აჩვენა სიმაღლეზე ხტომაში — 2,38 მ. ამბავი კი სტოკჰოლმში ხდება, იქაური „გლობ არენას" ჭერქვეშ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge